ამერიკა მეტად დაიცავს ჩვენს ინტერესებს, ვიდრე - საქართველოს ხელისუფლება A2

გურამ შარაძის მცხეთური ვოიაჟი A4

ყაჩაღობა 12 წლის გოგონას მკვლელობით დასრულდა A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 9 მარტი, 2003 წელი. №66 (278)

ფასი 50 თეთრი

# რუსეთს მარტო მორაგბეები ამარცხებენ



B2

გამარჯვების ზეიმი

## პარლამენტი საარჩევნო ადმინისტრაციებზე მსჯელობას იწყებს

*მომავალი კვირიდან პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალი წესის შემუშავებას იწყებს. უამრავი წინადადების მიუხედავად, ინტერფრაქციული ჯგუფის წევრები, სავარაუდოდ, არჩევანს იმ წესზე შეაჩერებენ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების პარტიულ პრინციპს გულისხმობს. ამასთან, პარტიათა უმრავლესობა კომისიების დაკმოპლექტებისას აბსოლუტური პარიტეტის დაცვის მომხრეა.*

თამარ ასათიანი

დღემდე ჯგუფის წევრები, ძირითადად, ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და ამომრჩეველთა სიების შედგენის ახლებურ ვარიანტებზე ბჭობდნენ. მრავალრიცხოვანი წინადადებებისა და იდეების განხილვამ გარკვეული შედეგი გამოიღო – სულ მალე ინტერფრაქციული ჯგუფი პარლამენტს განსახილველად წარუდგენს იმ პროექტს, რომელიც, პარლამენტართა აზრით, ამ ურთულეს პრობლემას, თუნდაც, ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს.

მაგრამ პარლამენტის ინიციატივა, არჩევნებამდე პირადობის ახალი მოწმობების გაცემის თაობაზე, აშკარად, განუცხორციელებელი დარჩება. შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ აცხადებს, რომ ასეთი მოწმობების გაცემა არჩევნებამდე ნამდვილად ვერ მოესწრება. **"ამ პროცესს რამდენიმე წელი**

გაგრძელება A2 გვერდზე

## საქართველოს საერთაშორისო აღიარება ვალად აწევს

*7 მილიონი აშშ დოლარი – გაერო-ს დავალიანება, 467 ათასი აშშ დოლარი – ევროსაბჭოს ვალი, 865 ათასი აშშ დოლარი – ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ვალი – ასეთია საქართველოს დამოკიდებულება საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ.*

თამარ ხორბალაძე

საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც ქვეყანა და მთელი საზოგადოება კორუფციის მორევში ჩაითრია, 2003 წლის ბიუჯეტში ვერ შეძლო გაერო-ს რესტრუქტურიზებული დავალიანებისთვის თანხების გათვალისწინება, რომ არაფერი ითქვას სხვა დავალიანებებზე. შედეგმა კი უკვე წლის დასაწყისშივე იჩინა თავი, როცა საქართველო გაერო-ში ხმის უფლების ჩამორთმევის ფაქტის წინაშე დადგა.

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტს საკუთარი ფონდიდან მოუხდა 1 მილიონი ლარის გამოყოფა, რაც, რა თქმა უნდა, დავალიანების დასაფარად საკმარისი არ გახლავთ; თუმცა, ცოტა ხნით "პირის მოსაწმენდად" საკმარისია. დავალიანების პრობლემა კი არ მოხსნილა არც გაერო-ში და არც ზემოთ ხსენებულ ორ ევროპულ ორგანიზაციაში; დავალიანება სხვა დანარჩენი საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რომლებშიც საქართველო ცალკეული უწყებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გახლავთ გაწევრიანებული, 25 მილიონ აშშ დოლარს აღწევს.

საქართველოს დიდი დავალიანებები აქვს სურსათისა და სოფლის მეურნეობის

გაგრძელება A2 გვერდზე

## პრეზიდენტ ბუშის პრეტენზიები იზრდება

### განიარაღება საკმარისი არ არის, ჰუსეინი უნდა წავიდეს!

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

უბრალო დამთხვევა არ იყო, როცა 28 თებერვალს ელიტარულმა 101-ე ავიასადესანტო დივიზიამ სპარსეთის ყურის რაიონში კატაპულტირება დაიწყო და, იმავდროულად, თეთრმა სახლმა ბაღდადს თავისი ულტიმატუმის ახალი ვარიანტი წაუყენა. აი, რაში მდგომარეობს მისი არსი: ერაყის სრული განიარაღება თავდასხმის ასაცილებლად საკმარისი არ არის; აუცილებელია, სადამ ჰუსეინი განდევნილ იქნას. ეს საფუძვლიანად სახეშეცვლილი ულტიმატუმი თეთრი სახლის პრესმდივნის არი ფლეიშერის გამოსვლაში გაისმა. მან თქვა: **"ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ ერაყი მთლიანად და საბოლოოდ განიარაღდება, ბატონი ჰუსეინი და მისი მთავარი თანაშემწენი კი ქვეყნიდან განდევნას დათანხმდებიან. ეს არის ორი აუცილებელი პირობა, რამდენადაც განიარაღება გაერო-ს მიზანია, ერაყში მმართველობის შეცვლა კი - შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიზანი."** განიარაღებისათვის ერაყის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ფლეიშერმა **"პროპაგანდა და სიცრუეში შეფუთული სიყალბე"** უწოდა (პერიფრაზირებაა ჩერჩილის სიტყვებისა რუსეთის შესახებ, წარმოთქმული 1939 წელს).

საპარაშუტო დივიზიის გადასროლა და ახალი ულტიმატუმი, რომელიც ბუშმა 6 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე წაუყენა ბაღდადს, ვაშინგტონში და გაერო-ში შეფასებულ იქნა, როგორც პრეზიდენტ ბუშის "გადასვლა ენდშპილში".

ბუშის "ენდშპილმა" ისედაც ფეთქებადსაშიში სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## თაღლითი ჩინოვნიკები და მოტყუებული თანამშრომლები

*უკვე მეორე წელია, რაც იმერეთის საოლქო პროკურატურა და საგამოძიებო დეპარტამენტი გახმაურებულ საქმეს იძიებს, რომელშიც ქუთაისის ვიცე-მერის დავით სანიკიძის, ენერგოკომპანიის ხელმძღვანელის რამაზ ხარაბაძისა და საქართველოს ენერგობაზრის ყოფილი ხელმძღვანელის დავით ჯიბღაშვილის გვარები ფიგურირებს. გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ მათ უკან გაცილებით მაღალი თანამდებობის პირების ინტერესები იმალება.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

**როგორ ვიყიდოთ მიწის ნაკვეთის ნაცვლად სანატორიუმი**

როგორც საგამოძიებო მასალებიდან ირკვევა, 2001 წლის ზაფხულში დასავლეთ საქართველოს ენერგობაზრის დირექტორი რამაზ ხარაბაძე ურეკში მიწის ნაკვეთის შესაძენად იმყოფებოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## "ენგურჰესის" რეაბილიტაციაში რუსებიც ერთვებიან



ენგურჰესის კაშხალი

სოფო კვინტრაძე

სოჭში გამართულ რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პერსპექტივები განიხილებოდა. ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ გალის რაიონში დევნილების დაბრუნების პარალელურად უნდა მოხდეს სოჭი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა. ამას გარდა, განსაკუთრებით გაესვა ხაზი "ენგურჰესის" კასკადის მოდერნიზაციისა და მდინარე ენგურზე სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაწყების საკითხებს.

"ენგურჰესის" რეაბილიტაციის ფარგლებში უნდა მოხდეს "ვარდნილჰესის" ოთხი კასკადის აღდგენა, რომლებიც საომარი მოქმედებების ზონაში იყო მოქცეული და ამჟამად დატბორილია. ამათგან ერთი კასკადი ჯერ კიდევ ფუნქციონირებს. დანარჩენი სამი კი მწყობრიდანაა გამოსული. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა აცხადებს, ოთხივე კასკადის ამუშავების შემთხვევაში საქართველოს ენერგოსისტემა დამატებით 120 მეგავატის ელექტროენერგიას მიიღებს. ჯერჯერობით, უცნობია, ვინ მოიხმარს ამ ელექტროენერგიას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს მინისტრის განცხადება იმის

გაგრძელება A3 გვერდზე

## უშიშროების საბჭოში არსებული უთანხმოება კვლავ ძალაშია

ლევან ღირსიაშვილი

პარასკევს, გაერო-ს უშიშროების საბჭოში, საერთაშორისო სამხედრო ინსპექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელის ჰანს ბლიქსის და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორის მოჰამედ ელ-ბარადეის მოხსენებებმა ერაყის საკითხზე არსებული დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო გააღრმავა. ბლიქსის განცხადების თანახმად, საერთაშორისო ზეწოლამ სადამ ჰუსეინის მთავრობა აიძულა, რომ ერაყში სამხედრო ინსპექტორთა მისიასთან უფრო მჭიდროდ დაეწყო თანამშრომლობა. ბლიქსის თქმით, ინსპექტორებს სამუშაოს დასასრულებლად რამდენიმე თვე კიდევ ესაჭიროებათ. ამასთანავე, ჰანს ბლიქსმა კვლავ გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ინსპექტორებმა ერაყის ხელისუფლებისგან ვერ მიიღეს მთელი რიგი დოკუმენტაცია, რომელიც ერაყის სამხედრო პროგრამებს შეეხება. სამხედრო ექსპერტთა მისიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ერაყმა მათ უნდა წარუდგინოს უფრო მეტი ინფორმაცია მიწისქვეშ გადამალული აკრძალული შეიარაღების შესახებ; თუმცა, აქვე დასძინა, რომ ასეთი სახის იარაღის აღმოჩენა მისიამ ჯერ ვერ შეძლო. მან ასევე ბრალი დასდო ერაყის ხელისუფლებას იმასთან დაკავშირებით, რომ თანამშრომლობის პროცესი ნელი ტემპით და შეფერხებებით მიმდინარეობს, რაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს № 1441 რეზოლუციას ეწინააღმდეგება.

უნდა ითქვას, რომ ბლიქსის მოხსენებამ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებს შორის საკმაოდ ცხარე დისკუსია გამოიწვია. რუსეთის, საფრანგეთის და ჩინეთის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს ბლიქსის მოხსენების იმ მომენტებზე, რომლებიც ერაყის განიარაღების საკითხში სადამ ჰუსეინის მთავრობის მხრიდან თანამშრომლობის გაუმჯობესებას შეეხება. ხოლო ამის საპირისპიროდ აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა ჰანს

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | |
| ქუთაისი | 16 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 15 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 11 | |
| ზუგდიდი | 17 | |
| გორი | 9 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1601 |
| ევრო | 2.3670 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4609 |
| რუბლი | 0.0684 |

A2 ინფორმაცია A3 უცხოეთი A3 ეკონომიკა A4 საზოგადოება A4 სამართალი

B2 სპორტი B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატის" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე ხელისუფლებას აფხაზეთის საკითხში "გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმით" ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფაში ადანაშულებს და იმედოვნებს, რომ აფხაზეთთან მიმართებაში ხელისუფლების გეგმას საქართველოს მოსახლეობა მხარს არ დაუჭერს. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**ბათუმი.** საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებს შორის გუშინ სოჭში გამართულ შეხვედრას აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისათვის უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად" აფასებს. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის აზრით, რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტებს შორის სოჭში მიღწეული შეთანხმება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიერ შემუშავებული გეგმის რეალიზაციას შეაფერხებს. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** პარლამენტის ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" ლიდერი, "მოქალაქეთა კავშირის" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ირაკლი გოგავა ვარაუდობს, რომ სახელმწიფო მინისტრი, "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ავთანდილ ჯორბენაძე არ იქნება სახელისუფლო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" საარჩევნო სიაში. **პრაიმ-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწე ასტამურ ტანია თვლის, რომ აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გალის რაიონში დაბრუნებული ქართველების რეგისტრაცია. **პრაიმ-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** ხვალ შვეიცარიის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია გენერალ-მაიორ იოზეფ შერლის ხელმძღვანელობით ორდღიანი ვიზიტით საქართველოს ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის სოჭში გამართულ შეხვედრაზე კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა ედუარდ შევარდნაძეს მხარეში მცხოვრები თურქი მესხების საქართველოში დაბრუნება მოსთხოვა. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** ბლოკ "ნაციონალური მოძრაობის - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთის "გახსნა" და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკასთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა დევნილთა დაბრუნების პროცესის სინქრონულად უნდა მოხდეს. **პრაიმ-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** "გაერთიანებული დემოკრატების" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი გიორგი ბარამიძე მიიჩნევს, რომ წამყვან ოპოზიციურ ძალებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თავისი წარმომადგენლები უნდა ჰყავდეთ, რათა ხელისუფლებამ ვერ შეძლოს ცსკოში უმრავლესობის მოპოვება და არჩევნების გაყალბება. **პრაიმ-ნიუსი**

"ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაავსოთ ქვემოთ მოყვანილ ნესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1
2
3
4
5

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# პარლამენტი საარჩევნო ადმინისტრაციებზე მსჯელობას იწყებს

პირველი გვერდიდან

**მაინც დასჭირდება,"** - ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით თოდუა.

ასე რომ, ამომრჩეველთა სიების შედგენისას სათანადო სტრუქტურებმა მონაცემთა იმ ბაზით უნდა ისარგებლონ, რომელიც უკვე არსებობს და რომელიც საკმაოდ არასრულყოფილია. აქედან გამომდინარე, განსკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ამომრჩეველთა სიების აუდიტს. თუმცა, ჯერ არ არის ცნობილი, ვინ აიღებს თავის თავზე ამ ურთულესი მისიის შესრულებას; არ არის გამორიცხული, ეს საქმე რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ იტვირთოს, თუკი მას რომელიმე დონორი ორგანიზაცია საჭირო თანხას გამოუყოფს.

პარლამენტართა გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა რეგისტრაციის დროს, თითოეულ ჩვენგანს ფოტოსურათსაც გადაუღებენ. როგორც ინტერფრაცქიული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, **"ეს მინიმუმამდე შეამცირებს ამომრჩეველთა ყალბი მოწმობების რაოდენობას."**

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციებს: პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფს მათი დაკომპლექტების რამდენიმე ვარიანტის განხილვა მოუწევს. სახელისუფლებო ფრაქციები შეეცდებიან, ინტერფრაქციული ჯგუფის მთელი ყურადღება მათ მიერ წარმოდგენილ სამ პროექტზე გადაიტონ. თუმცა, ისიც ცხადია, რომ პარლამენტართა ნაწილი საკმაოდ



ინტერფრაქციული კომიტეტის სხდომა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სკეპტიკურად არის განწყობილი ე.წ. ჯორბენაძე-ხაზარაძის წინადადებებისადმი. ეს განსაკუთრებით ოპოზიციური ფრაქციების მისამართით ითქმის, რომელთა მიზანი საარჩევნო ადმინისტრაციების პარტიული პრინციპით დაკომპლექტებაა. თანაც ისე, რომ დაცული იყოს აბსოლუტური პარიტეტი და არჩევნებში მონაწილე პარტიებს ყველა დონის საარჩევნო კომისიებში საკუთარი წარმომადგენლის ყოლის უფლება ჰქონდეს.

# საქართველოს საერთაშორისო აღიარება ვალად აწევს

პირველი გვერდიდან

ორგანიზაციის – 1,3 მილიონი დოლარი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის – 1,7 მილიონი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის – 4,3 მილიონი, გაერო-ს მრეწველობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის – 1,4 მილიონი.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ზვიად მუკბანიანმა "24 საათს" განუმარტა, რომ **"ამ დავალიანებების გამო ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციიდან გარიცხვის საშიშროება არ დგას, თუმცა, საქართველოს შეიძლება, ხმის უფლება ჩამოერთვას და, საერთოდ, ასეთი დავალიანების არსებობა ქვეყნის პრესტიჟის საკითხია. მართალია, აშშ-საც აქვს გაერო-ს უზარმაზარი ვალი, თუმცა ჩვენ სხვადასხვა კატეგორიებში ვთამაშობთ და ამ შემთხვევაში ასეთი გასამართლებელი არგუმენტი ჩვენ არ გამოგვადგება..."** – განაცხადა მუკბანიანმა.

25-მილიონიანმა ვალმა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტს დღესაც აწევს ზურგზე, ქვეყნის მთავრობას (იგი ამ მიზნებისთვის ამ თანხის შოვნის პერსპექტივას მეტად ბუნდოვნად მიიჩნევს) მიაღებინა გადაწყვეტილება უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ. კომისიას უნდა გამოეყო "ნაკლებპრიორიტეტული" საერთაშორისო ორგანიზაციები (მათი პოლიტიკური წონისა და ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით) და მოემზადებინა გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციებში წევრობაზე უარის სათქმელად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კომისიის შექმნიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, საქართველოს პარლამენტში ასეთი დასკვნა არ შემოსულა. მრიცხველი კი ჩართულია და დავალიანებები ისევ გროვდება...

# ამერიკა მეტად დაიცავს ჩვენს ინტერესებს, ვიდრე - საქართველოს ხელისუფლება

ლენა მიქაძე

**"ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ერაყთან ომის შემთხვევაში, საქართველოს მხრიდან სამხედრო ბაზების შეთავაზება, რეალურად, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების პროდასავლური ორიენტაციის დადასტურებაზე მეტად, რუსეთის საქმის კეთებას ემსახურება,"** - აცხადებდნენ გუშინდელ პრესკონფერენციაზე სახალხო ფრონტისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარეები ეროვნულ-რადიკალურ პარტიის ხელმძღვანელთან ერთად.

ნოდარ ნათაძე და თამარ ჩხეიძე დარწმუნებული არიან, რომ თავისი პროვოკაციული, ამერიკის მხარდასაჭერი და ერაყის საწინააღმდეგო განცხადებებით ქვეყნის მეთაური შევარდნაძე, საქართველოს მსოფლიო კონფლიქტის წინა ხაზზე მოაქცევს. **"რითი უნდა ებრძოლოს საქართველო კბილებამდე შეიარაღებულ სადამ ჰუსეინს, თევზაძის "რაგატკებით" ხომ არა?"**- კითხულობს თამარ ჩხეიძე.

**"ერაყს ბირთვული იარაღის წარმოება არ შეუძლია, ამდენად იგი ამ იარაღს რუსეთისგან შეიძენდა. რუსეთს, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიაში ამერიკის მხრიდან პოზიციების გამაგრება ხელს არ აძლევს. ამდენად იგი ყველანაირად ეცდება პირველი დარტყმა სწორედ საქართველოს მიაყენოს,"** - ეს უკვე ნოდარ ნათაძის არგუმენტია, რომელმაც ის პერიოდი გაიხსენა, როცა იგი პირველი მოწვევის პარლამენტში დაახლოებით ისეთივე პოსტზე იყო, როგორზეც დღეს ირაკლი ბათიაშვილია.

შექმნილი მდგომარეობიდან სახალხო ფრონტი და ჭავჭავაძის საზოგადოება გამოსავალს თავად აშშ-ის ხელისუფლებისადმი მიმართვაში ხედავენ. მათ სჯერათ, რომ საქართველოს გულისტკივილს ამერიკის ადმინისტრაცია უფრო მიიტანს გულთან, ვიდრე ჩვენი ხელისუფლება. **"იმედი გვაქვს, რომ ამერიკა ჩვენი პატარა ქვეყნის ინტერესებს არ შელახავს, ჩვენი ბაზების გამოყენებით საფრთხის წინაშე არ დაგვაყენებს,"** - იმედი აქვს ნათაძეს.

# პრეზიდენტ ბუშის პრეტენზიები იზრდება

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, ამ "ენდშპილს" მსოფლიო ძალიან კრიტიკულად შეხვდა. მექსიკაში ვიზიტით მყოფმა კანადის პრემიერ-მინისტრმა ჟან კრეტიენმა აშკარა უკმაყოფილებითა და ირონიით წარმოთქვა: **"პრობლემა ერთია - თუ მთელ მსოფლიოში რეჟიმების შეცვლას დაიწყებთ, სად გაჩერდებით? ვინ იქნება შემდეგი? გამაცანით სია და პრიორიტეტები!"** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა, ერაყში რეჟიმის "ტრანსფორმაციის" მცდელობების კონტექსტში, პეკინში პირველად ახსენა სიტყვა "ვეტო". მან თქვა, რომ ერაყის პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადაჭრის შესახებ რეზოლუციას რუსეთი მხარს არ დაუჭერს.

ბუშის მიერ ერაყისადმი წაყენებული ულტიმატუმის პარალელურად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრთათვის "ხელების გადაგრეხა" მიმდინარეობს. ბუში მზადაა, ბაღდადზე მარტომ და გაერო-ს სანქციის გარეშეც გაილაშქროს, და მაინც, ამჯობინებდა გაერო-ს მანდატი ჰქონოდა. ჯერჯერობით კი - არ გააჩნია. უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან ვაშინგტონს მხარს უჭერს მხოლოდ სამი - ინგლისი, ესპანეთი და ბულგარეთი. ამ უკანასკნელის "მოსათაფლად" ბუშმა მას "თავისუფალი ბაზრის" მქონე ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, სირია და გერმანია წინააღმდეგნი არიან. უშიშროების საბჭოს დანარჩენ ექვს წევრს გარკვეული პოზიცია ჯერ კიდევ არ გააჩნია. იმისათვის, რომ გავიდეს აშშ-ს რეზოლუცია, მხარდაჭერილი ინგლისისა და ესპანეთის მიერ, აუცილებელია 9 ხმა, იმ პირობით, რომ საბჭოს მუდმივი წევრი არც ერთი დიდი ქვეყანა ვეტოს უფლებით არ ისარგებლებს და, როგორც მინიმუმი, თავს შეიკავებს.

ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ ხმების საბოლოო განაწილებაში გადამწყვეტ როლს რუსეთი შეასრულებს. თეთრ სახლში ასე მსჯელობენ: თუ მოსკოვი თავს შეიკავებს, პეკინიც მის კვალს გაჰყვება, პარიზი კი მარტო დარჩენას აღარ მოისურვებს. გარდა ამისა, მოსკოვის სიჩუმე გავლენას იქონიებს უშიშროების საბჭოს ექვს მერყევ წევრზე და ისინი აშშ-ს რეზოლუციას მისცემენ ხმას.

აი, რატომ იქცა მოსკოვი ვაშინგტონის მცდელობების მთავარ სამიზნედ. იგორ ივანოვის მიერ ნათქვამი "დაკუნთული" სიტყვის - "ვეტოს" პასუხად, თეთრი სახლის პრესმდივანმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ ეს რუსეთის საბოლოო გადაწყვეტილება არ არის, თანაც მიანიშნა, რომ ყველაფერი მხოლოდ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. რუსეთის პრეზიდენტის "დამუშავება" პირადად პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აიღო თავის თავზე. თუმცა, ამ ორთა სატელეფონო საუბარმა, ჯერჯერობით, თეთრი სახლისთვის სასურველი შედეგები ვერ გამოიღო.

"მოთაფლვა" კი გრძელდება. ამას წინათ, პრეზიდენტმა ბუშმა ე.წ. ჯექსონ-ვენიკის შესწორება ერთ-ერთ მთავარ საკანონმდებლო პრიორიტეტად დაასახელა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა კი ტერორისტული ორგანიზაციების სიაში კიდევ სამი ჩეჩნური დაჯგუფება შეიტანა. მაგრამ ეს მხოლოდ ჟესტებია. ჯექსონ-ვენიკის შესწორებამ თავისი სიმბოლური მნიშვნელობაც კი დაკარგა. ეს შესწორება, მიღებული "ცივი ომის" პიკის პერიოდში, ერთმანეთს უკავშირებდა რუსეთთან ვაჭრობასა და საბჭოთა ებრაელების თავისუფალ ემიგრაციას ისრაელში. ხოლო სამი ჩეჩნური ბანდფორმირების ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეტანა შეიძლება დავახასიათოთ გამოთქმით - წვრილმანია, მაგრამ სასიამოვნო.

თუ ბულგარულ გაზეთ "ტრუდში" გამოქვეყნებული პრეზიდენტ პუტინის ინტერვიუს მიხედვით ვიმსჯელებთ, ამერიკა-რუსეთის ვაჭრობის შედეგი, ჯერჯერობით, სრულიად გაურკვეველია. რუსეთის პრეზიდენტმა თავის ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ ერაყში ომი სტაბილურობას დაარღვევს და მთელ ისლამურ სამყაროში - პაკისტანიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე - ქაოსს გამოიწვევს. მან საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, დაიცვას საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, რადგან მხოლოდ მათზე დაყრდნობით შეიძლება ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების მონახვა, რომელიც არც საერთაშორისო საზოგადოების და არც ანტიტერორისტული კოალიციის გახლეჩას არ გამოიწვევს.

მიუხედავად ყველაფრისა, ვაშინგტონში არ კარგავენ ოპტიმიზმს იმის თაობაზე, რომ ბოლოს და ბოლოს, "რუსეთი ავა ამერიკული ხომალდის ბორტზე", ვინაიდან რუსულ-ამერიკული კარგი ურთიერთობები მოსკოვისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სადამ ჰუსეინის ბედი. ამ თეზისის დასამტკიცებლად მოჰყავთ პუტინის სიტყვა, რამდენიმე კვირის წინ ნათქვამი კიევში. ამ გამოსვლაში რუსეთის პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ ერაყის საკითხის სამხედრო გადაწყვეტისადმი რუსეთის წინააღმდეგობას გააჩნია საზღვრები და თუ ერაყი მთლიანად არ შეასრულებს გაერო-ს მოთხოვნებს, შესაძლებელია, მიღებულ იქნას რადიკალური ზომები.

დაბოლოს, აშშ-ს ექს-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმაც ხმა ამოიღო. ტაფტსის უნივერსიტეტში გამოსვლისას, ის თავის გადაწყვეტილებას - არ განეხორციელებინა შეტევა ბაღდადზე 1991 წელს - ამართლებს იმით, რომ ეს ანტისადამურ კოალიციას დაშლიდა. მიუხედავად ამისა, უფროსი ბუში თავის შვილს მხარს უჭერს. თუმცა, როგორც მან თქვა, **"უკეთესი იქნებოდა მოქმედება რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო მხარდაჭერის პირობებში."** მან "მცდარ სტერეოტიპად" მოიხსენია მისი შვილის მისამართით გავრცელებული ბრალდება - რომ იგი **"მზადაა, ჩაებას ომში რაც შეიძლება სწრაფად და მარტოდმარტო."**

ბუში უმცროსი მართლაც მზადაა, ჩაებას ბრძოლაში. სხვა საქმეა, რომ მას არ უნდოდა, ეს მარტოს გაეკეთებინა. მაგრამ, როგორც თვითონვე არაერთხელ განაცხადა, ის ამას გააკეთებს ან გაერო-ს მონაწილეობით, ან მის გარეშე.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

უცხოეთი

# უშიშროების საბჭოში არსებული უთანხმოება კვლავ ძალაშია





კოლინ პაუელი და ელ ბარადეი, სერგეი ივანოვი და კოლინ პაუელი - მოლაპარაკებები არ წყდებოდა არც სხდომის მსვლელობისას და არც შესვენებებზე

პირველი გვერდიდან

ბლიქსის მოხსენების ის მომენტები გაიხსენეს, სადაც საუბარია ერაყის მიერ გაერო-ს რეზოლუციის ზოგიერთი მოთხოვნის შეუსრულებლობაზე.

დიდმა ბრიტანეთმა – აშშ-ის ძირითადმა მოკავშირემ - უშიშროების საბჭოს წევრებს შესთავაზა ერაყისათვის 17 მარტამდე ვადის მიცემა, რათა სადამ ჰუსეინმა ამ დრომდე გაერო-ს ინსპექტორთა მისიასთან **“სრული, უპირობო, დაუყოვნებლივი და აქტიური”** თანამშრომლობის დემონსტრირება მოახდინოს. ახალი რეზოლუციის პროექტი, სადაც ძირითად მომენტს ეს პუნქტი წარმოადგენს, უშიშროების საბჭოს განსახილველად მომავალ კვირას გადაეცემა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ ინსპექტირების გაგრძელება ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს, თუკი მისი დასრულების თარიღი მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული. ამ მოსაზრებას დაეთანხმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც. **“არავის სურს ომი, მაგრამ, ცხადია, რომ ინსპექტორთა მისიის შეზღუდული წარმატება მხოლოდ და მხოლოდ რეგიონში სამხედრო დანაყოფების ყოფნას შეიძლება მიეწეროს,”-** განაცხადა პაუელმა და დასძინა, რომ სადამ ჰუსეინს არაორაზროვნად უნდა განემარტოს, რომ მისი თამაშის დრო ამოწურულია.

მართალია, ახალი რეზოლუციის პროექტს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნები მომავალ კვირაში განიხილავენ, მაგრამ საფრანგეთის პოზიცია უკვე ცნობილია. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვილეპენმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს არ დაუჭერს რეზოლუციის ისეთ პროექტს, რომელიც ერაყში ომის დაწყებას ავტომატურად გაუხსნის გზას და ასევე არ დათანხმდება ერაყისათვის არც ულტიმატუმის წაყენებას და არც ინსპექტორებისათვის კონკრეტული ვადის განსაზღვრას. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ რუსეთი და ჩინეთი. თუმცა, წინ კიდევ ერთი კვირაა, რომელიც კვლავ დიპლომატიური მანევრების ფონზე ჩაივლის. უშიშროების საბჭოს ომის მოწინააღმდეგე წევრმა ქვეყნებმა ასევე კარგად იციან, რომ ვაშინგტონი და ლონდონი ერაყის წინააღმდეგ ომს გაერო-ს სანქციის გარეშეც დაიწყებენ. ამდენად, ეს კვირა შესაძლებელია, ერაყისათვის ბოლო მშვიდობიან კვირად იქცეს, რის შედეგადაც ბაღდადს ოფიციალური ულტიმატუმი მიეცემა. შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო კოალიცია ომის დასაწყებად სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

# მოკლულია "ჰამასის" სამხედრო ფრთის ლიდერი

გუშინ, დილით, ისრაელის სამხედრო ვერტმფრენებმა პალესტინის ტერიტორიაზე – ღაზას სექტორზე - სპეცოპერაცია განახორციელეს. ზუსტი სარაკეტო დარტყმით გაანადგურეს ავტომანქანა, რომელშიც რადიკალური მოძრაობა “ჰამასის” ოთხი წევრი იმყოფებოდა. შედეგად, ოთხივე ადგილზევე იქნა ლიკვიდირებული. სააგენტო “როიტერის” ცნობით, მოკლულთა შორისაა “ჰამასის” სამხედრო ფრთის დამაარსებელი, 50 წლის იბრაჰიმ ალ-მაქადმა. ამ ფაქტმა “ჰამასის” რიგებში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. **“ალ-მაქადმას მკვლელობით ისრაელის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება. ამიერიდან ისრაელის ყველა ლიდერი ჩვენი სამიზნე ხდება,”** - განაცხადა ”ჰამასის” წარმომადგენელმა აბდელ აზიზ არ-რანთისმა.

უნდა ითქვას, რომ ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ ბოლო დროს განხორციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა სწორედ დაჯგუფება “ჰამასმა” აიღო.



სარაკეტო დარტყმის შედეგად განადგურებული ავტომანქანა)

დაზუსტებული მონაცემებით, პარასკევს, ებრაულ დასახლება ქირიათ-არბაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად, ებრაელი ცოლ-ქმარი დაიღუპა, ხოლო სამი ადამიანი მძიმედ დაიჭრა. ისრაელის სამხედროებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს და თავდამსხმელთაგან ორი პალესტინელის ლიკვიდაცია შეძლეს. იმავე დღეს კიდევ სამი პალესტინელი მოკლეს ებრაული დასახლებული პუნქტის ნახალ-ნაგეხოთის მახლობლად.

როგორც ცნობილი გახდა, პალესტინელები ებრაულ რელიგიურ ტანსაცმელში იყვენ გადაცმულები.

ამდენად, ისრაელის სპეცრაზმის მიერ “ჰამასის” ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის განადგურება ბოლო დროს ებრაელებზე გახშირებული ტერაქტების და თავდასხმების პასუხად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, საეჭვოა იბრაჰიმ ალ-მაქადის ლიკვიდაციამ პალესტინური რადიკალური დაჯგუფების ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლა შეაჩეროს.

# მალტელებმა ევროკავშირში შესვლის საკითხი უნდა გადაწყვიტონ

გუშინ, მალტაში, საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდა. 300 ათასმა მალტელმა თავიანთი ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. ადგილობრივი დროით 6 საათზე, მალტის მთელ ტერიტორიაზე გაიხსნა ხმის მისაცემი პუნქტები.

მალტა ევროკავშირის წევრობის პირველი კანდიდატია, რომელმაც 2003 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაატარა რეფერენდუმი.

სოციოლოგიური გამოკითხვის წინასწარი შედეგების მიხედვით, მოსახლეობის აზრი თითქმის თანაბრად არის განაწილებული და პროგნოზების გაკეთებას ყველა თავს არიდებს. რეფერენდუმის წინასწარი ოფიციალური შედეგები დღეს, საღამოს გახდება ცნობილი.






ეკონომიკა

# "ენგურჰესის" რეაბილიტაციაში რუსებიც ერთვებიან

პირველი გვერდიდან

თაობაზე, რომ ქართული მხარე აფხაზეთის ენერგეტიკას ცალკე არ განიხილავს. დავით მირცხულავას ინფორმაციით, “ვარდნილჰესის” კასაკადების აღდგენას 32 მილიონი დოლარი სჭირდება. შეთანხმების თანახმად, თანხის 80 პროცენტს რუსები გადაიხდიან, ხოლო დანარჩენს - ქართული მხარე.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თქმით, მოლაპარაკებები რუსეთთან “ენგურჰესის” რეაბილიტაციის პროექტზე დიდი ხანია მიმდინარეობს. ოთხი თვის წინ კი ქართველმა და რუსმა სპეციალისტებმა “ვარდნილჰესის” კასკადები დაათვალიერეს და მათი აღდგენის ბიზნესგეგმა შეიმუშავეს. პრეზიდენტების შეხვედრაზე ამ საკითხის განხილვა მოწმობს, რომ რუსული მხარე სერიოზულადაა დაინტერესებული “ენგურჰესის” აღდგენის პროექტით. რეაბილიტაციის გარდა, პრეზიდენტების შეხვედრაზე განიხილებოდა მდინარე ენგურის ზედა ნაწილში ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივაც; მათ შორის - ერთ-ერთი გახლავთ “ხუდონჰესი”, რომლის 25 პროცენტი უკვე აშენებულია. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ ამ საკითხებზე უფრო კონკრეტული მსჯელობები მომავალში იქნება; ამას გარდა, “ხუდონჰესის” მშენებლობა საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რის გამოც უცხოური კაპიტალის მოზიდვასაც არ გამორიცხავენ.

ამჟამად კი ევრობანკის, ევროკომისიისა და “ენგურჰესის” თანადაფინანსებით მიმდინარეობს ჰესის თაღოვანი კაშხლის რეაბილიტაციის პროექტი. როგორც ცნობილია, ამისათვის ევროგაერთიანებამ საქართველოს 10 მილიონი ევრო გამოუყო გრანტის სახით, ხოლო ევრობანკმა 38 მილიონი დოლარის კრედიტი. ამ პროექტის ფარგლებში “ენგურჰესის” რეაბილიტაცია 3 წელიწადში უნდა დასრულდეს. როგორც “ენგურჰესის” რეაბილიტაციის პროექტის მენეჯერი ირაკლი სულაბერიძე აცხადებს, რუსული მხარის წინადადებები ხელს არ შეუშლის “ენგურჰესის” რეაბილიტაციას. **“პირიქით, ევროგაერთიანების წარმომადგენლები მიესალმებიან, თუ ჩვენ დონორებს გამოვძებნით და ნაწილობრივ საკუთარი ძალებითაც შევძლებთ “ენგურჰესის” უზარმაზარი რესურსების ამოქმედებას,”** – აცხადებს ირაკლი სულაბერიძე.

ამ ეტაპზე ევროგაერთიანების პროექტი შეჩერებულია, როგორც ქართული მხარე, ასევე დონორები უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ელიან ელექტროენერგიის ტარიფში “ენგურჰესის” კუთვნილი წილის შემცირებასთან დაკავშირებით.

# "დემოკრატები" სამეგრელოში

ბელა მახარაძე

“გაერთიანებული დემოკრატები” ცდილობენ, უკვე ყველასათვის კარგად ნაცნობი იდეა, სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდა, შეატყობინონ საქართველოს მოსახლეობას და ამით ხალხის კეთილგანწყობა დაიმსახურონ.

ამჯერად, ისინი ხობსა და ზუგდიდში იყვნენ, სადაც ადგილობრივი საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს შეხვდნენ. ზურაბ ცქიტიშვილი შეხვედრებით კმაყოფილი დარჩა, ხალხს კი იმედი მიეცა.

საკმაოდ ცუდი ამინდის მიუხედავად, ხობელ და ზუგდიდელ მოსახლეობას არ დაზარებია შეხვედრაზე მოსვლა.

“**თუ ხალხის ცხოვრებით ცხოვრობთ, რატომ გაქვთ ხელფასი 600 ლარი?**” – კითხულობს ხობის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი შალვა ხარებავა.

ამ კითხვას ცქიტიშვილმა ძალზე ზოგადად უპასუხა და უამბო დამსწრე საზოგადოებას, თუ რამდენი პრობლემის გადალახვა მოუხდათ, რომ ამ კანონპროექტის დამტკიცებისთვის მიეღწიათ.

ზუგდიდში ხალხი გაცილებით ცოტა იყო, ვიდრე ხობში. ზუგდიდელები არც აგრესიული კითხვებით გამოირჩეოდნენ, ისინი დინჯად ისმენდნენ ცქიტიშვილის სიტყვას.

“**ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს იქნება რეალური და არ მგონია, ეს იყოს მორიგი ტყუილი. ბატონმა ზურაბმა დამაჯერებლად ახსნა ხელფასის გაზრდის რეალური შესაძლებლობა,**” - გვითხრა შეხვედრით კმაყოფილმა ზუგდიდის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა.

“**დავინახე ის, რომ ხელისუფლება ფიქრობს ერთს, მოსახლეობა - მეორეს. რაც შეეხება ვეტოს, არა მგონია პრეზიდენტმა ის გამოიყენოს, მაგრამ აღსრულების პროცედურას შეიძლება რამე ელემენტი დაამატოს,**” – აცხადებს შეხვედრებით კმაყოფილი ცქიტიშვილი.

დემოკრატები აპირებენ საქართველოს ყველა რაიონში ჩასვლას და ხალხთან პირადად საუბარს სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდის რეალობაზე, მაგრამ იმასაც აუცილებლად ამატებენ, რომ ეს არ არის წინასაარჩევნო კამპანია.

# რუსეთს საგარეო ვალები აღარ აწუხებს

გვანცა კვინიკაძე

რუსეთის მთავრობა თავის მომავალს შედარებით მშვიდად უყურებს. მან ბოლო სამი წლის მანძილზე საგარეო ვალის 160 მილიარდი დოლარიდან 123 მილიარდამდე შემცირება შეძლო. ამის შესახებ გუშინ განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხეილ კასიანოვმა.

ცხადია, რომ ვალების შემცირების საქმეში ასეთი წარმატებების მიზეზი ნავთობიდან მიღებული დოლარებია, რომელთა ნაკადმა სწორედ ამ წლებში იმატა რუსეთის ხაზინაში. მნიშვნელოვანია, რომ საკრედიტო და საინვესტიციო რეიტინგებში რუსეთი პარალელურად აგროვებს ქულებს, რაც საგარეო ვალების მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართების გაუმჯობესებული პროპორციითაც გამოიხატება.

1999 წელს რუსეთი იმ ქვეყნების სიაში შედიოდა, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი საგარეო ვალი აქვთ. “დღეისთვის მდგომარეობა ძირეულად არის შეცვლილი: თუ ადრე რუსეთის საგარეო ვალი მშპ-ს 100%-ზე მეტს შეადგენდა, დღეს იგი მშპ-ს 40 პროცენტამდე შემცირდა”, – განაცხადა რუსეთის პრემიერმა.

მაგრამ, ასეთი წინსვლის მიუხედავად, მოსკოვი ისევ აპირებს კრედიტების აღებას უცხოეთიდან. რუსეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან 5-6 მილიარდი დოლარის სესხად აღებას გეგმავს. თავად რუსეთის მთავრობის განმარტებით, ამ ნაბიჯის გადადგმა არსებული ვალების რეფინანსირებისა და, განსაკუთრებით, მათი დაფარვის პიკების (2005 და 2008 წლები) სიმწვავის გასანეიტრალებლად კეთდება. წელს ამ ვალების გადახდის სიმძიმე მოხსნილია: რუსეთის ფინანსთა სამინისტრო ყოველთვიურად აქვეყნებს მონაცემებს ვალების ძირითადი ნაწილისა და მათი მომსახურების პროცენტების გადახდის შესახებ. გარდა ამისა, მინისტრთა კაბინეტი აპირებს შიდა სესხების გაზრდას და საგარეო ვალების დაფარვის მოცულობის შემცირებას. თუ 2000 წლიდან დღემდე რუსეთმა კრედიტორებს დაახლოებით 35 მილიარდი დოლარი გადაუხადა, მომავალ სამ წელიწადში ამ მიზნით მხოლოდ 10 მილიარდამდე დოლარი დაიხარჯება. რუსეთის მთავრობის ასეთ გეგმებს ექსპერტები გამართლებულად მიიჩნევენ, რადგან ახლა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთები საგრძნობლად არის შემცირებული და დაბალპროცენტიანი ვალებით ძველი მაღალპროცენტიანი კრედიტების დაფარვა მეტად მომგებიანია.

თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ წინასაარჩევნო წელს სახელმწიფო დუმის დეპუტატებს საკუთარი მოსაზრებები ჰქონდეთ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ეს ფული. დუმის საგარეო ვალის კომისიის თავმჯდომარის ვლადიმერ ნიკიტინის აზრით, უახლოეს მომავალში რუსეთისა და საერთაშორისო სასამართლოები ველარ აუვა მოსახლეობის მიერ დაკარგული ანაბრების ანაზღაურების მოთხოვნით შეტანილ სარჩელებს. იურიდიულად რუსეთში სახელმწიფო ვალად აღიარებულია ვალი, რომელიც 1992 წელს შემნახველ ბანკში მოსახლეობის დანაზოგების დაკარგვით წარმოიქმნა. რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ ამ ანაბრების კომპენსირება დაიწყო, თუმცა, ეს მექანიზმი ქვეყანაში სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს. კომპენსაციის სქემის მიხედვით, “დაკარგული” 10 ტრილიონი საბჭოთა მანეთი 600 მილიარდი რუსული რუბლით კომპენსირდება ანუ თანაფარდობა 1/17-ზეა. ამ კომპენსაციის დასრულება 15 წელიწადშია ნავარაუდევი. რუსული მასმედია უკვე აღნიშნავს, რომ კომპენსირების ასეთი სქემა მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ შეთავაზებული ვალებთან დაკავშირებული სტრატეგია მთავრობამ მოიწონა.

მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციითა და 2003 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, 2002 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კომერციული ბანკების კონსოლიდირებულმა სესხებმა მნიშვნელოვანი - 132,938 მლნ. ლარიანი ზრდა განიცადა. განვლილი პერიოდის განმავლობაში ყველაზე მაღალი ტემპით - 50,46 მილიონი ლარით გაიზარდა ვაჭრობისა და მომსახურეობის სფეროზე გაცემული სესხების მოცულობა. წინა წელთან შედარებით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროზე გაცემული სესხების მოცულობამაც მოიმატა, სადაც ზრდის მაჩვენებელმა 6,942 მილიონი ლარი შეადგინა. განსახილველ პერიოდში ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხების მაჩვენებლებში მატება 4,093 მილიონი ლარია, ხოლო მშენებლობის სფეროზე გაცემულ სესხებში - 3,902 მილიონი ლარი. ეროვნული ბანკის მონაცემებითა და გაცემული სესხების მიხედვით, ზრდა დაფიქსირებულია აგრეთვე ბანკთაშორის სესხებთან მიმართებაში (12,939 მილიონი ლარი) და სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სფეროში (4,346 მილიონი ლარი). რაც შეეხება კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მაჩვენებლებს, საანალიზო პერიოდი ამ მხრივაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება და მატების მაჩვენებელმა 38,694 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2003 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული წმინდა სესხების საერთო მოცულობამ 593,844 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც 86,098 მილიონი ლარი - ეროვნული ვალუტის, ხოლო 507,746 ლარის ექვივალენტი უცხოური ვალუტის წილად მოდის. **"ინტერ-პრესი"**

# გურამ შარაძის მცხეთური ვოიაჟი

*გუშინ დილით პარლამენტის შენობასთან მისული მასმედიის წარმომადგენლები და შარაძის საზოგადოების ასიოდე წევრი ორსართულიანი ავტობუსით მცხეთაში გაემგზავრნენ. შარაძეს რამდენიმე გაჩერება ჰქონდა დაგეგმილი ქართველი ჩინოვნიკების, მისი სიტყვებით, "შინაური დამპყრობლების საგმირო საქმეების" სანახავად.*

ლელა მარგიანი

### გაჩერება პირველი - საგურამო, ილიას სახლ-მუზეუმი

**"პირველად ამ ისტორიული მიწების გაყიდვა გასულ საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. მაშინ კომუნისტებმა საბჭოთა კავშირის გმირებს მისცეს აქ სამოსახლო. ასე დაიკარგა პირველად გურამიშვილების მამულის ტერიტორიის ქვედა ნაწილი." -** ასე დაიწყო საგურამოდან "ექსკურსია" შარაძემ.

ილიას მუზეუმთან, სპეციალურად შარაძესთან შესახვედრად საავადმყოფოდან გამოწერილი საგურამოს გამგებელი მევლუდ უნდილაშვილი და ილიას მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკიძე დახვდნენ დელეგაციას. მათი მტკიცებით, საგურამოში არანაირი ისტორიული მიწები არ გაყიდულა, ხოლო ის ადგილები, სადაც "ახალი ქართველების" სასახლეები დგას, კერძო საკუთრებაში არის სახელმწიფოს მიერ 1992 წლიდან გადაცემული და ხალხმა გაჭირვების გამო გაყიდა. მათივე თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება ვერანაირად ვერ ჩაერევა ამ საქმეში. მათ ისიც კი არ იციან, ვინ არიან ამ სასახლეების პატრონები.

შარაძის ბრალდებებით გაღიზიანებულმა მუზეუმის დირექტორმა ჟურნალისტებს საქმის მისეული ვითარება გააცნო. მისი მონაყოლით, მუზეუმის კუთვნილი 20 ჰექტარიდან არც ერთი მეტრი მიწა არაა გაყიდული; პირიქით, ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, 1998 წელს ილიას ობელისკის მიმდებარე 7 ჰექტარი მიწა მუზეუმს გადაეცა; რამდენიმე წლის წინათ, ანდრო ბედუკიძის წყალობით, შეჩერდა მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ჩიკვაიძის სახლის მშენებლობა; მუზეუმის თავზე, ტყეში, შენდება წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძარი, სადაც უსასყიდლოდ შრომობენ საგურამოელები; გადაწყვეტილი აქვთ დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმის აშენება და ა.შ. ამ ყველაფრის დაუნახაობა, როგორც დირექტორი აღნიშნავს, აღმაშფოთებელია, რადგან საგურამოელებს ყველაზე მეტად შესტკივათ გული ილიას მუზეუმზე.

როგორც ადგილობრივი გლეხებისგან გავიგეთ, ახალი ელიტარული უბანი საგურამოში ორი-სამი წელია, რაც გაჩნდა. ხელისუფლებისგან განსხვავებით, საგურამოელებმა მშვენივრად იციან, ვის ეკუთვნის სასახლეები. ამ კონტექსტში ახსენეს პაატა შევარდნაძე, გია ჯოხთაბერიძე, **"მეანაბრეების ფულების მიმთვისებელი მაღლაკელიძე"**, რომელმაც უკვე სამჯერ გადააკეთა საკუთარი სახლი და სიორიძე, რომელსაც **"მცხეთის თეთრი სახლი არ ეყო და მშენებლობა საგურამოშიც დაიწყო"**.

### მცხეთის შესასვლელი, რესტორნები თამარიანი და მწვანე კონცხი

ორივე რესტორანი პირდაპირ მტკვარს გადაჰყურებს. იქიდან ჯვარიც და სვეტიცხოველიც ჩანს. შემდეგ - დათოვლილი მთები... შესანიშნავი პეიზაჟია.

შარაძის თქმით, უნდა დარჩეს ისტორიული ლანდშაფტი. ჯვარი და სვეტიცხოველი არ უნდა მახინჯდებოდეს. იგი ურჩევს მცხეთის ხელისუფალთ, გამოაჩინონ წყალქვეშ დაფარული პომპეუსის ხიდი და შეწყვიტონ ამ ტერიტორიაზე რესტორნების მშენებლობა. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილემ გივი ამირხანაშვილმა ამასთან დაკავშირებით თქვა: **"რესტორნები მხოლოდ არასასოფლო-სამეურნეო მიწებზეა აშენებული. ამ რესტორნების ადგილას ჭაობი იდგა და მოსახლეობა ძალიან შეწუხებული იყო კოღოთი. ახლა ჭაობი დამშრალია, რისთვისაც რესტორნების მეპატრონეებს საყვედური კი არა, მადლობა ეკუთვნით. აუქციონი კი კანონიერად ჩატარდა."** გუბერნატორის ამ სიტყვებს შარაძის რეპლიკა მოჰყვა: **"უბედურება ისაა, რომ ჩვენთან ყველაფერი უკანონო კანონიერია და ამას თავად პარლამენტარებიც უწყობენ ხელს."**



*შარაძის და საგურამოს გამგებლის "დიალოგი".*

### გაჩერება - სანათლავი

აქ შარაძის ესკორტს მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ხატიძე, მცხეთის საკრებულოს თავმჯდომარე, ქალაქის მერი და სხვა "უცნობი" ოფიციალური პირები შეემატნენ. შარაძის თქმით, გაყიდულია არა მარტო მიწა და ნაპირები, არამედ მტკვრის ტალღებიც კი, რადგან სანათლავთან ახლოს, მტკვარში, დიდი რესტორანი –"ბორანია" ჩადგმული.

ჟურნალისტის შეკითხვაზე - როგორ აფასებს შარაძის მცხეთურ ვოიაჟს? - ხატიძემ აღნიშნა, რომ არაა მართალი, როდესაც მცხეთას "საროსკიპოების ბუდეს" უწოდებენ. **"თუ მე მაჩვენებთ მცხეთაში თუნდაც ერთ საროსკიპოს მაინც, მე გამოვიყენებ სააკაშვილის მაგალითს, გამოვიყვან ბულდოზერს და დავანგრევ მას,"** - განაცხადა მან.

### ნაგავსაყრელი

ყოფილი ნაგავსაყრელის ხილვით შარაძე ძალიან კმაყოფილი დარჩა. გამხიარულებულმა შარაძემ თქვა, ეს პირველი შედეგია, ნაგავსაყრელი სასწრაფოდ გაუწმენდიათო და საჯაროდ გადაუხადა მადლობა იქვე მყოფ მცხეთის მერს, რომელიც ამ დროს ამტკიცებდა, აქ ნაგავსაყრელი არასოდეს ყოფილა, უბრალოდ, მოსახლეობას ჭაობის ამოსაშრობად სამშენებლო ნაგავი მოჰქონდაო.

### შარაძის ბრალდებით - "საროსკიპო"

როგორც გაირკვა, ავტოკემპინგი, რომელიც მშენებარე თანამედროვე კორპუსისგან, ხის კოტეჯებისგან და საუნისგან შედგება, ვახტანგ ჯორჯიკიას მიერ დაფუძნებულ "წმინდა თამარ მეფის ორდენს" ეკუთვნის.

აღელვებული კომპლექსის არქიტექტორი გოჩა ქურდაძე, აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ **"ინვალიდთა სარეაბილიტაციო ცენტრი" შარაძემ საროსკიპოდ მიიჩნია და მათ კეთილშობილ სახელს ჩირქი მოსცხო"**. თუმცა, ქურდაძემ ისიც თქვა, რომ **"ესაა ჩვეულებრივი სასტუმრო, რომელიც მძღოლებს ემსახურება"**, ის კი, ვის მოიყვანენ მძღოლები სტუმრად, მხოლოდ მათი საქმეა.

### ბოლო გაჩერება - დიდი დიღომი

მუხათგვერდის ასახვევში დიდი, მშენებარე, წითელსახურავიანი სახლი დგას. შარაძემ აღნიშნა, რომ ერთი წლის წინათ მას მიმართა ადგილობრივმა მოსახლეობამ და აცნობა, რომ მოხუცებულთა სახლის ნაცვლად აქ იელოველები სახლს იშენებენო.

ავტობუსის დანახვაზე, დიდი, ნაცრისფერი ჭიშკარი სასწრაფოდ დაკეტეს. აქ დამთავრდა გურამ შარაძის მიერ მასმედიისთვის მოწყობილი ვოიაჟი. დეპუტატი კმაყოფილი იყო, რადგან "პროგრამა მინიმუმი" შესრულებულია - მცხეთის ნაგავსაყრელი გაუქმდა.

*სამართალი*

# ყაჩაღობა 12 წლის გოგონას მკვლელობით დასრულდა

თამარ კაციტაძე

გუშინ, შუაღამისას, წყალტუბოს რაიონის სოფელ ჯიმასტაროში, ჯელამ ჩაკვეტაძის ოჯახს სამი ნიღბიანი პიროვნება დაესხა თავს.

წყალტუბოს რაიონის პოლიციის უფროსის გელა დარსაძის ინფორმაციით, ღამით ცოლ-ქმარი ჩაკვეტაძეები, მათი ვაჟი - 14 წლის გიორგი ჩაკვეტაძე და ცოლის დისშვილი - 12 წლის ვენერა ბაზმანი ტელევიზორს უყურებდნენ. დაზარალებულთა დაკითხვით, დანებით შეიარაღებული თავდამსხმელები მოულოდნელად შეცვივდნენ სახლში და პისტოლეტის მუქარით ფული მოითხოვეს. ჯემალ ჩაკვეტაძის თქმით, იგი მიხვდა, რომ იარაღი სათამაშო იყო და წინააღმდეგობის გაწევა უცდია. ოჯახის უფროსს სკამი აუღია და ჯერ ერთი თავდამსხმელისთვის ჩაურტყამს თავში, შემდეგ კი მეორისთვის. ტკივილისგან გამწარებულ ყაჩაღებს ყვირილი დაუწყიათ და გარეთ გაცვენილან. თუმცა, ამასობაში, ერთ-ერთ მათგანს მოუსწრია და ჯემალ ჩაკვეტაძესთვის დანა ჩაურტყამს. გასვლისას კი თავდამსხმელებმა ოთახში ხელყუმბარა ისროლეს და ააფეთქეს.

ვენერა ბაზმანი ადგილზევე გარდაიცვალა. მძიმედ დაიჭრა გიორგი ჩაკვეტაძე, რომელსაც ქუთაისის საავადმყოფოში წვივის ამპუტაცია გაუკეთეს. დაზიანება მიიღო ჯემალ ჩაკვეტაძემაც, მისი მეუღლე კი უვნებელი გადარჩა.

წყალტუბოს რაიონის პოლიციის უფროსის გელა დარსაძის ინფორმაციით, ჯემალ ჩაკვეტაძემ რამდენიმე დღის წინ 900 ლარად ხარები გაყიდა. ფულის შესახებ, სავარაუდოდ, ინფორმაცია ჰქონდათ ყაჩაღებსაც და თავდასხმისთვის სწორედ ამიტომ აირჩიეს ჩაკვეტაძეების ოჯახი.

იმერეთის სამხარეო პროკურორის თამაზ ჭუმბურიძის განცხადებით, მართალია, დამნაშავეებმა მიმალვა მოახერხეს, მაგრამ უკვე არსებობს სავარაუდო ინფორმაცია დამნაშავეების ვინაობის შესახებ და არ არის გამორიცხული, რომ ისინი უახლოეს მომავალში დააკავონ.

ჩაკვეტაძეების ოჯახზე მომხდარ თავდასხმის ფაქტზე ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის მუხლებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული წყალტუბოს რაიონის პროკურატურაში.

# თაღლითი ჩინოვნიკები და მოტყუებული თანამშრომლები

პირველი გვერდიდან

იქ თანაქალაქელ დავით სანიკიძეს შეხვდა, რომელმაც მას მიწის ნაკვეთის ნაცვლად სანატორიუმ "მთის ბროლის" 80 ნომერი შესთავაზა. ხარაბაძე ამ წინადადებას დათანხმდა. რამაზ ხარაბაძე, ამავე დროს, "გუმათჰესის" კასკადის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც გახლდათ, ამიტომაც მან სანატორიუმის შეძენა ენერგეტიკულ კომპანიას შესთავაზა. აღსანიშნავია ისიც, რომ "გუმათჰესს" სანატორიუმის შესაძენი თანხა კი არა, საკუთარი კოლექტივის 14 თვის სახელფასო დავალიანება ჰქონდა და მეტად მძიმე ფინანსურ პირობებში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, "გუმათჰესი" სანატორიუმის შეძენაზე უარს იტყოდა. ამიტომაც ხარაბაძემ კოლექტივს სანატორიუმის შეძენა შესთავაზა "საქენერგოს" ძველი, უიმედო ვალების ხარჯზე. მუშებს კი ამავე სანატორიუმში უფასო დასვენებას დაჰპირდა. კოლექტივი ამ წინადადებას დასთანხმდა. იმავე კრებაზე განიხილეს ჰესის მთავარი ინჟინრის თამაზ ქორიძისთვის ბინის შეძენის საკითხიც. ქორიძე მრავალშვილიანი გახლდათ და ბინის პრობლემა გააჩნდა. კოლექტივმა, რა თქმა უნდა, ეს საკითხიც დადებითად გადაწყვიტა. მალე ჰესის დირექტორი ვახტანგ კობახიძე ავად გახდა და მის მოვალეობას სწორედ მთავარი ინჟინერი ქორიძე ასრულებდა. გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ ხარაბაძემ მას "მთის ბროლთან" დადებული ხელშეკრულება მიუტანა და აუხსნა: კოლექტივის გადაწყვეტილების საფუძველზე, 450 000 დოლარად უნდა შევიძინოთ სანატორიუმის 80 ოთახი ანუ სამი სართულიო. იმავე ხელშეკრულების საფუძველზე, "გუმათჰესს" "მთის ბროლისთვის" თვეში 100 ათასი ლარი უნდა გადაერიცხა.

ქორიძემ ხელშეკრულებას ისე მოაწერა ხელი, რომ ტექსტი არც წაუკითხავს. ამჟამად პროკურატურაში აცხადებენ, რომ სანატორიუმის შეძენა ვითომდა კომპანიის ძველი დავალიანების მეშვეობით, კოლექტივის თვალის ასახვევად იყო საჭიროო. ხელშეკრულებაში, რომელსაც ქორიძემ ბრმად მოაწერა ხელი, სანატორიუმის შესაძენად ძველი დავალიანებები არსად იყო ნახსენები. უფრო მეტიც, ხარაბაძე სანატორიუმის შეძენას ენერგოკომპანიის სახსრებით აპირებდა, ამიტომაც "გუმათჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსაგვარებელი დარჩა ყველაზე მთავარი - შესაბამისი თანხის გამოძებნა. რაც მან შემდეგნაირად მოახერხა:

**"ხარაბაძემ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქორიძე დავით სანიკიძისათვის შესაბამისი მიმართვის გაგზავნის აუცილებლობაში დაარწმუნა. ამავე დროს მოიმიზეზა მბეჭდავის ადგილზე არყოფნა და ქორიძეს ხელი ცარიელ შტამპიან ფურცელზე მოაწერინა. შემდეგ კი ტექსტი თვითონ შეადგინა. წერილში ხარაბაძე საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობას `გუმათჰესისადმი" არსებული დავალიანების თანხიდან, "მთის ბროლთან" დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თვეში 100 000 ლარის გადარიცხვას სთხოვდა სანიკიძის პირად ანგარიშზე,"**- აცხადებს გამომძიებელი ნოდარ ნემსიწვერიძე. მანამდე კი ხარაბაძეს საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობისგან ერთსა და იმავე საკითხზე ორი სხვადასხვა შინაარსის წერილი მოაქვს. ერთი ადგილობრივი ენერგოკომპანიისადმი მიწერილი, რომლითაც საბითუმო ბაზრის მაშინდელი ხელმძღვანელი ჯიბლაშვილი ენერგოკომპანიას სანიკიძის ანგარიშზე თვეში 100 000 ლარის გადარიცხვას ავალებს, მეორე კი "გუმათჰესისადმი" მიწერილი, სადაც აღნიშნული თანხის მხოლოდ ერთჯერად გადარიცხვაზეა საუბარი. ენერგოკოპანიამ აღნიშნული წერილი მეორე დღესვე მიიღო, ჰესმა კი სამი თვის შემდეგ. ჯიბლაშვილის წერილის მიღებიდან ათ დღეში სანიკიძის ანგარიშზე უკვე 100 000 ლარი დაჯდა.

აღსანიშნავია ის, რომ ენერგობაზარი "გუმათჰესს" ხელფასისთვის საჭირო თანხებს წლების განმავლობაში ვერ აძლევდა, ხოლო სანატორიუმის შესაძენი თანხა კი რამდენიმე დღეში გამოინახა.

კარგად მოფიქრებული ეს "აფიორა" 2001 წლის აგვისტოში განხორციელდა, სექტემბერში კი ჰესის დირექტორი ვახტანგ კობახიძე სამსახურში გამოვიდა. მას იმერეთის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელმა ომარ ზივზივაძემ აცნობა, თქვენი წერილის საფუძველზე, დავით სანიკიძის ანგარიშზე ასი ათასი ლარი გადავრიცხეო და აღნიშნულის ბუღალტრული დადასტურება მოსთხოვა. კობახიძემ კი ბუღალტრული დადასტურების ნაცვლად ზივზივაძეს მისწერა, რომ აღნიშნული წერილი ყალბი იყო.

ამ საქმეში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ დავით სანიკიძემ "მთის ბროლი" ისე გაყიდა, იგი მისი იურიდიული საკუთრებაც არ გახლდათ. სანიკიძე "გუმათჰესთან" ხელშეკრულების დადებიდან ოთხი დღის შემდეგ "მთის ბროლის" 11-პროცენტიანი წილის მფლობელი გახდა. ერთი წლის შემდეგ კი მან სანატორიუმი სახელმწიფოსგან მთლიანად შეისყიდა. "გუმათჰესიდან" მიღებული 100 000 ლარი მას სწორედ სანატორიუმის შესასყიდად სჭირდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სანიკიძეს, "გუმათჰესთან" დადებული ხელშეკრულების თანახმად, "მთის ბროლის" 80 ნომერში (ანუ სამ სართულში) 450 000 დოლარი უნდა აეღო. მთლიანად შენობა კი, რომელიც შვიდი სართულისგან შედგება, მან სახელწიფოსგან 160 000 დოლარად შეიძინა.

"გუმათჰესის" დირექტორი აღმოჩენილი დარღვევების შესახებ მოგვიანებით უგზავნის მოხსენებით ბარათს ენერგეტიკის მინისტრს. დავით მირცხულავა კი, მხოლოდ დეკემბერში აკეთებს რეაგირებას და ფაქტის შესახებ სამართალდამცველების ნაცვლად აცნობებს იმერეთის გუბერნატორს თემურ შაშიაშვილს. ამის შემდეგ მინისტრის მხრიდან უფრო უცნაური ფაქტიც დაფიქსირდა: ძიების მასალებში არსებობს წერილი, სადაც მირცხულავა აცხადებს, რომ აღნიშნული მაქინაცია კანონის დაცვით განხორციელდაო.

### რატომ ემალება გამოძიებას დავით ჯიბლაშვილი

**"იმ დონის თანხობრივი ოპერაციაა განხორციელებული, რომ გამორიცხულია საქართველოს ენერგობაზრის მაშინდელ ხელმძღვანელს ამ თანხის მიზანმიმართულებისა და დადებული ხელშეკრულების კანონიერების შესახებ არაფერი სცოდნოდა,"** - აცხადებენ იმერეთის პროკურატურაში. მათი განცხადებით, მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად დავით ჯიბლაშვილის დაკითხვა აუცილებელია. თუმცა, თითქმის ორი წელიწადია, გამოძიებამ ეს ვერ მოახერხა. ჯიბლაშვილი ამჟამად უშიშროების სამინისტროში მუშაობს. ძიების პროცესში მან მხოლოდ ერთხელ მისცა ახსნა-განმარტება, ისიც არასრულყოფილი სახით. გამოძიება იძულებული გახდა სასამართლოსგან ჯიბლაშვილის იძულებით წარმოდგენაზე სანქცია აეღო. თბილისის პოლიციაში კი სანქცირებულ მიმართვაზე უპასუხეს, დავით ჯიბლაშვილის მისამართი ვერ დავადგინეთო. **"უშიშროების სამინისტროში 4 წერილი გავაგზავნე. იქიდან კი მომწერეს, რომ ჯიბლაშვილი გაფრთხილებული გვყავს და ჩამოვაო, საცხოვრებელი ადგილის მისამართს კი უშიშროების კადრების სამმართველო არ მაძლევს,"** - აცხადებს გამომძიებელი ნემსიწვერიძე.

წერილში მოყვანილი ფაქტები იმერეთის საოლქო პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეშია დაფიქსირებული. ცხადია, მტყუან-მართალს სასამართლო გაარკვევს, თუ საქმის განხილვა მოხდა.

ძიების პერიოდში რამაზ ხარაბაძე, ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით, ქუთაისის ენერგოკომპანიის (ქელასის) დირექტორად დანიშნეს. დავით სანიკიძე კი დღეს ქუთაისის ვიცე-მერია. მისი საკურატორო სფერო სამართალდამცველი სტრუქტურების საქმიანობაა.

# ოთხწლიანი ძებნის შემდეგ ცნობილი ნარკოვაჭარი დააპატიმრეს

თამარ კაციტაძე

დაახლოებით ოთხი წლის წინ, ზუგდიდში, სამართალდამცველებმა ნარკოტიკების რეალიზატორი ვინმე ბულია დააპატიმრეს. პოლიციაში დაკითხვისას ბულიამ აღიარა, რომ მას ამ საქმეში მხოლოდ და მხოლოდ კურიერის ფუნქცია ჰქონდა და ნარკოვაჭარ ვაკონა ბერიშვილის დავალებას ასრულებდა: კურიერს აკრძალული ნივთიერება ბერიშვილის მითითებით მიჰქონდა სხვადასხვა პიროვნებებთან და ამისათვის გარკვეულ გასამრჯელოსაც იღებდა.

სამეგრელოში ცნობილი ნარკორეალიზატორი ბერიშვილი ნარკოტიკების რეალიზაციისთვის წარსულშიც ყოფილა გასამართლებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვეული ხელობა მას ციხიდან გამოსვლის შემდეგაც არ მიუტოვებია.

კურიერის დაპატიმრების შემდეგ სამეგრელოს სამართალდამცველებს ნარკორეალიზატორის ხელახალი დაპატიმრებაც უცდიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ ბელიას დაპატიმრების შესახებ ინფორმაციამ გაჟონა და ბერიშვილმაც მიმალვით უშველა თავს.

თუ სად იმალებოდა ნარკოვაჭარი ოთხი წლის განმავლობაში, გუშინდლამდე სამართალდამცველებმა არ იცოდნენ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გუშინ ვაკონა ბერიშვილი ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეთაში, ახლობლის ბინაში იპოვეს და დააპატიმრეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის სერგო ჩაჩიბაიას ინფორმაციით, ბერიშვილის საცხოვრებელ ბინაში პოლიციამ აღმოაჩინა 288 "ჩეკი" ჰეროინი, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 12 ათასი ლარია.

ჩაჩიბაიას ინფორმაციითვე, ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილის ბინაში პოლიციამ აღმოაჩინა რვეული, სადაც ბერიშვილს დაფიქსირებული ჰქონდა იმ ხალხის სია, ვისაც ნარკოტიკს უგზავნიდა და ვისაც მისი ვალი ჰქონდა. სულ "შავ სიაში" აღრიცხული ყოფილა 559 ჩეკი ჰეროინი.

საიდან ჰქონდა ბერიშვილს ამდენი ნარკოტიკი, ან ვინ ამარაგებდა მას, სამართალდამცველები, ჯერჯერობით, არ ამხელენ. თუმცა, ჩაჩიბაიას თქმით, ამის შესახებ გარკვეული ინფორმაცია გააჩნიათ. "ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმება და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ნარკორეალიზატორთა მთელი ჯაჭვი გამოვლინდეს," – ამბობს სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე. ერთადერთი, რასაც ჩაჩიბაია არ მალავს, ის არის, რომ სამეგრელოში ნაპოვნი ნარკოტიკები აფხაზეთიდან არ არის შემოტანილი.

# ქურდობა შრედერისა და რემბოს ნიღბებით

ორმა გერმანელმა ბოროტმოქმედმა რამდენიმე წლის მანძილზე 36 ბანკის გაძარცვა მოახერხა. პარტნიორები სახეზე სპეციალურად დამზადებულ ნიღბებს იკეთებდნენ – გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრედერისა და ცნობილი კინოგმირის - რემბოს გამოსახულებით და ასე ძარცვავდნენ ბანკებს.

გერმანიის პოლიციამ კრიმინალური დუეტის – 51 და 54 წლის მამაკაცების დაპატიმრება მხოლოდ ახლახან მოახერხა. მანამდე მძარცველებმა სამ მილიონ ევროზე მეტის მოპარვა შეძლეს.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გერმანიის პოლიცია ჩატარებული სპეცოპერაციისა და საქმის დეტალებს არ ახმაურებს; მეტიც, გასაიდუმლოებულია დაკავებულთა ვინაობაც.

# სიცილიის მაფიის კიდევ ერთი ლიდერი დააკავეს

იტალიის პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულია სიცილიის მაფიის ერთ-ერთი ლიდერი სალვადორ რინელა, რომელიც 8 წლის მანძილზე ემალებოდა სამართალდამცველებს.

პალერმოს პროკურორი რინელას დაპატიმრებას ერთ-ერთ ყველაზე დიდ წარმატებად მიიჩნევს. სიცილიის მაფიის იერარქიაში მას წამყვანი ადგილი ეკავა. რინელა იტალიის მაფიის "ნათლიის" - ანტონიო ჟუფრეს მარჯვენა ხელის სტატუსით სარგებლობდა.

www.24hours.ge 24 B

# ციფრული ბაზარი

ხათუნა ხაბულიანი

თანამედროვე ხელოვნების ისტორია მაშინ დაიწყო, როცა მარსელ დიუშამპმა საგამოფენო ექსპონატად პისუარი აირჩია და „შადრევანი“ დაარქვა. ამგვარი ყოფითი ობიექტები, გარდა იმისა, რომ ხელოვნების ნიმუშის სტატუსი მიიღეს, სვამდნენ შეკითხვასაც, თუ რა არის თვითონ ხელოვნება. ამ ეპიზოდის შემდეგ დისკუსია, კომუნიკაცია და ინტერაქცია ხელოვნების განუყოფელ ცნებებად იქცა. ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც თავის თავში მოიცავენ შეკითხვას იმის შესახებ, თუ რა არის ხელოვნება, აქტუალობას ინარჩუნებენ XXI საუკუნის დასაწყისისთვისაც. რაც შეეხება კომუნიკაციას, მასთან დაკავშირებული ტექნიკური საშუალებები იმდენად განვითარდა, რომ გადასასინჯი გახდა მუზეუმებისა და გალერეების ფუნქციები. ინტერნეტით მისაწვდომია ყველა მხატვრული სახე და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მანიპულაციები. გასარკვევია რეალური და ვირტუალური სივრცეების ურთიერთობები. სადისკუსიო სივრცე ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ არ არსებობს და მის შექმნას თავისი პროექტებით სხვებთან ერთად მაფ-ი (მედია არტ ფერმა) ცდილობს. ქარვასლაში ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა სემინარი „ციფრული ბაზარი“, რომელზეც მაფ-ინსტიტუტის სტუდენტები ამზადებდნენ ნამუშევრებს მედია ხელოვნებაში. სემინარს უძღვებოდნენ შვეიცარიიდან მოწვეული მედია ხელოვანები – **ბრუნო შტაინერი** და **რომან ბლაიხენბახერი**. ქარვასლაში სემინარის გახსნაზე მათ საზოადოებას ციფრული და ნამდვილი სამზარეულო ერთად შესთავაზეს - აჩვენეს მედია-ხელოვნებაში შექმნილი ნამუშევრები და თბილისის ბაზარში ნაყიდი ბოსტნეულით წვნიანი დაამზადეს. ერთი კვირის მანძილზე მომზადებული ნამუშევრების ჩვენება შედგება ქარვასლაში კვირას, 14.00 სთ-ზე.

გთავაზობთ საუბარს ბრუნო შტაინერსა და რომან ბლაიხენბახერთან.

**ქართველი მხატვრების უმეტესობა, რომლებიც მედია ხელოვნებაშიც მუშაობენ და ფიგურატიულშიც, ამ უკანასკნელს ხშირ შემთხვევაში უფრო კომერციული მიზნით აკეთებენ. თქვენთვის გასაგებია ეს სტრატეგია?**

**ბრუნო**: მე არ ვხატავ გასაყიდად. ფიგურატიული ხელოვნება ჩემთვის ენასავითაა, რომელზეც ვლაპარაკობ. არ ვხატავ ნატურიდან სკურპულოზური სიზუსტით, სულ მინდა რაღაც ვცვალო და გავაუცნაურო, სხვანაირად გამოვხატო...

**(სემინარის გახსნაზე რომანმა აჩვენა ნამუშევარი, სადაც კომპიუტერში მყოფ ფიგურაზე ნებისმიერ მსურველს შეეძლო აგრესია გამოეხატა, დაერტყა, ეჩქმიტა.) თქვენ ფიქრობთ, რომ საჭიროა ასეთი „განმუხტვის ფიგურების“ არსებობა?**

**რომან:** ეს ნამუშევარი უფრო აგრესიაზე იყო, რომელიც შეიძლება ჰქონდეს დიდ ადამიანს პატარა ადამიანის მიმართ, როცა ეს დიდი ადამიანი აჭერს ღილაკს ხელს და აგრესიას ახორციელებს მონიტორში მოთავსებულ პატარა ადამიანზე. ეს ეხება უფრო ვირტუალური სამყაროს და ადამიანის ურთიერთობას. პატარა ადამიანი, რომელიც ცხოვრობს კომპიუტერში და დიდი ადამიანი, რომელმაც შეიძლება ის გააღიზიანოს. რა თქმა უნდა, ჰგავს იმას, რაც საზოგადოებაში ხდება, როცა „უმნიშვნელო“ ადამიანებზე „მნიშვნელოვანი“ ადამიანები პრესით მოქმედებენ, რაზეც ისინი შემდეგ ბრაზდებიან და აგრესიითვე პასუხობენ. მნიშვნელოვანი იყო ისიც, თუ როგორ რეაგირებდა ხალხი გამოფენაზე, როცა უყურებდა ამ აგრესიის სცენას. საინტერესოა, თითოეული ჩვენთაგანი როგორ იქცევა ასეთი ადამიანებისს მიმართ..

**თქვენ აჩვენეთ მეორე ინტერაქტიური ნამუშევარიც - „გაშეშობანა“, სადაც მაყურებელს შეეძლო ვირტუალურ ფიგურასთან ეთამაშა ბავშვებში პოპულარული თამაში. რამ იმუშავა ინსპირაციად, რომ ვირტუალური მოთამაშე გაგეკეთებინათ?**

**რომან:** აქ მნიშვნელოვანი იყო რეალური სივრცისა და ანიმაციის დაკავშირება და თანაც ისეთი უბრალო გზით, რომ ნებისმიერი ადამიანისათვის, კაცის, ქალის, თუ ბავშვისათვის ადვილად გასაგები ყოფილიყო. აქაც საინტერესო იყო ადამიანების რეაქციისათვის თვალყურის დევნება, როგორ მოძრაობდნენ და როგორ ხასიათს ავლენდნენ ამ ვირტუალურ ფიგურასთან ურთიერთობაში. გამოვლინდა ტაქტიკათა სახეები, რომელთაც იყენებდნენ ადამიანები ამ თამაშის მოსაგებად. ზოგს უნდოდა, აუცილებლად მოეგო. სასიამოვნო იყო იმის დანახვაც, თუ როგორ თამაშობდნენ ერთად ოთხი წლის ბავშვი და სამოცდათორმეტი წლის ადამიანი. ანიმაციის თანმიმდევრობა შემთხვევითობაზე იყო დაპროგრამირებული და თამაშიც ყოველთვის სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა, სრულიად სხვადსხვა ასაკის ხალხი რჩებოდა, ელოდებოდა, თამაშობდა. თვით ამ მოთამაშეებს სხვები უყურებდნენ და თან ეს ნაჩვენები იყო ხელოვნების კონტექსტში გამოფენაზე, სადაც უცხო იყო თამაშების სფერო. აქ ყველას შეეძლო გახალისებულიყო, გახსნილიყო ზედმეტი დატვირთვის გარეშე.



ბრუნო და რომანი ბაზარში

**არსებობს თუ არა ბაზელში ფიგურატიულ ხელოვნებასთან დაკავშირებული გალერისტული პრაქტიკა და გქონიათ თუ არა გამოფენა მხოლოდ ფიგურატიულ ხელოვნებაში?**

**ბრუნო:** მე არასდროს გამომიფენია ფერწერა. კომპიუტერში გაკეთებული ფიგურატიული ნამუშევრების გამოფენები ბევრი მქონდა, ბაზელში plug in-ში, რამდენიმე ნამუშევარი კოლექციებსაც აქვთ შეძენილი. ერთი მუზეუმისთვის მაქვს გაკეთებული CD-ROM-ი. ამ ნამუშევრებში ყოველთვის არის ფიგურატიული ნაწილები.

**„ციფრული ბაზარის“ გახსნაზე მოსულებს, გარდა მედია ხელოვნებაში შექმნილი მასალისა, თქვენ შესთავაზეთ იქვე მომზადებული წვნიანი, გარდა სახალისო ელემენტისა რითი აკავშირებთ ციფრულსა და რეალურ სამზარეულოს ერთმანეთთან?**

**ბრუნო:** რა თქმა უნდა, მთავარი იყო ციფრული სამზარეულო, მაგრამ რეალურმა სამზარეულომ ის შეავსო, გაამთლიანა. როგორც ვთქვით, ძალიან რთულია ციფრული ნამუშევრების ჩვენება მუზეუმში. წვნიანი იყო, რაღაც ძალიან რეალური, საკომუნიკაციოდ ხელმისაწვდომი. ციფრული პროდუქციის ჩვენება ყოველთვის ექსპერიმენტის სახით ხდება, ყოველთვის ცდაა, თუ როგორ მივა ის ადამიანებთან.

**რომან:** ჩვენ ჩამოვიტანეთ ჩვენი რეცეპტები, თუ როგორ ვაკეთებთ ელექტრონულ ნამუშევრებს, ამავე დროს ეს მეტაფორასავით გადავიყვანეთ სავსებით რეალურსა და ხელშესახებ წვნიანში, რომელიც სინამდვილეში გაკეთდა. ეს რეალობა განმარტებისა და ჩვენებისათვის იქნა გამოყენებული.

**საქართველოში მედია ხელოვნება ახლა ვითარდება, გრძნობდით თუ არა ერთგვარ ბარიერს პუბლიკასთან, რომელიც ხშირად არ ხვდება ინტერაქტიურ ხელოვნებას?**

**რომან:** პირიქით, პუბლიკა ძალიან კონცენტრირებული და დაინტერესებული იყო. ზედმეტადაც იმ გაგებით, რომ უფრო ჩვენგან ელოდებოდნენ რას ვიტყოდით და თვითონ უფრო ნაკლებად გამოხატავდნენ საკუთარ აზრს. ჩვენ შეცდომა დავუშვით, რომ კითხვები არ დავუსვით, მაგრამ, ამას მომავალ კვირას გამოვასწორებთ.

**ბაზარი ყველა დროისათვის ყველაზე ცოცხალი და ინტენსიური გაცვლის ადგილი იყო. რითი იყო საინტერესო თბილისის ბაზარი, სადაც თქვენ წვნიანის ინგრედიენტები იყიდეთ..**

**ბრუნო:** ჩვენთვის ბაზარი ძალიან შთამბეჭდავი და სასიამოვნო მოვლენა იყო. ერთი მხრივ, ის სემინართან უნდა დაგვეკავშირებინა, წავსულიყავით, რაღაც შეგვეძინა, რაც მეორე დღეს პრეზენტაციისათვის გამოგვადგებოდა და შემდეგ მიგვეწოდებინა პუბლიკისათვის.

**რომან:** როცა მზარეულის ფორმები ჩავიცვით და შევიჭერით ბაზარში, რაღაც ახალი ისტორიასავით დაიწყო. გვინდოდა ეს ამბავი თვით ბაზრის ისტორიაშიც ჩართულიყო. იქ იმდენად პირდაპირი რეაქციები იყო, რომ გვეგონა, საერთოდ ვკარგავდით კონტროლს სიტუაციაზე.

**ბრუნო:** ეს კავშირშია მომავალ სემინართან, რაღაც ამბის განვითარების ერთგვარი მცდელობა. ეს უკავშირდება ხედვას, როცა მზარეული თვითონ მიდის ბაზარში და თვალით აფასებს მასალას, ირჩევს მას.

**რომან, თქვენ ხართ ავტორი ფირმა „ფრაიტაგის“ საიტისა. ეს ფირმა, ორიგინალური დიზაინისა და მასალის (დამტვრეული საბარგო მანქანების გადარჩენილი ტყავის ნაწილები) ჩანთებს ამზადებს, რითი დაგაინტერესათ ამ სამუშაომ?**

**რომან:** ეს ისტორია სასწავლებელში დაიწყო, სახელოსნოში ერთ ამხანაგს ვაჩვენე ჩემი ნამუშევრები, რომელსაც ისინი ძალიან მოეწონა, მითხრა, რომ თვითონ ჩანთებს აკეთებდა, მაგრამ ბევრი არაფერი გაეგებოდა, და ეს იყო დანიელ ფრაიტაგი - ამ ფირმის დამაარსებელი ერთ-ერთი ძმა. ნახევარი წლის შემდეგ დამიკავშირდა და შემომთავაზა გამეკეთებინა საიტი. მოვამზადე კონცეპტი, ძალიან აღფრთოვანდა და კარგი მეგობრობაც დავამყარეთ. ასე შეიქმნა ეს საიტი.

**სხვა ავტორების პროექტებიდან რომელმა ინტერაქტიურმა პროექტმა დაგაინტერესათ?**

**რომან:** ერთ ჩემს მეგობართან ეორკ ლინთან ერთად ვაკეთებდი ვექტორულ ნახაზებს ინტერნეტით, სხვადასხვა ადგილიდან ვასრულებდით ერთ ნამუშევარს. ამას ჩემი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

**ბრუნო:** მე ძალიან მომწონს ZKM-ის CD-ROM-ები სადაც სამ სამი ნამუშევარია. მათგან ბევრი შთაგონება მივიღე.

**რომან:** ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონურ თამაშებს, რომელთაც შეკვეთით ვიღებდი; ევროპაში ისინი არ იშოვებოდა. იქ ამბავი ძალიან საინტერესოდ ვითარდებოდა, იმის მიხედვით, თუ რა როლს აირჩევდი. მოგზაურობასავით გამოდიოდა. იყო დინამიური, იუმორით სავსე სხვა საინტერსო ამბებით.

**თქვენი გეგმების შესახებ...**

**ბრუნო:** ბოლო დროს ბევრი ციფრული პორტრეტი გავაკეთე კომპიუტერით. მინდა ინტერაქტიური ნამუშევრების გაკეთება ფერწერის გამოყენებით.

**რომან:** მე ბევრი მიმუშავია არქიტექტურაში, მინდა რეალური და ვირტუალური სივრცეების დაკავშირება, ძალიან მაინტერსებს ეს თემა.

**რას ფიქრობთ დისკუსიებზე ციფრული რევოლუციის შესახებ?**

**რომან:** ვფიქრობ ციფრული ხელოვნება შეერწყმება საერთოდ ხელოვნებას, ისევე, როგორც შეერწყა კინო და ვიდეო. რაც ძალიან საინტერესოა, ახალ მედიას აქვს დიდი და რთული შესაძლებლობები; ხელოვნებას ბევრი ახალი შესაძლებლობა მიეცემა.

# კიდევ ერთხელ სტუმრად ლადო ბურდულთან

## დი-ჯეი ქეშისა და დი-ჯეი ჟორჟიკის სალონური დისკოთეკა

ვერა ნეფარიძე

დიდი ხანია ლადო ბურდულის სალონური საღამოები ჩვენს ქალაქში აღარავისთვისაა სიახლე. აქ განსაკუთრებული პატიჟი იშვიათ და გამორჩეულ სტუმრებს სჭირდებათ მხოლოდ. სულ მცირე, ალბათ, ორი თაობა მაინცაა გაზრდილი მაჩაბელის N20-ში, ქართული ალტერნატიული მუსიკის რიტმებზე. ახალგაზრდები ახლაც დიდი ხალისით დადიან სოლოლაკის, ალბათ, ყველაზე ხმაურიან სახლში. ენთუზიაზმი არც მათ მარად ახალგაზრდულ მასპინძელს, ლადო ბურდულს აკლია.

პარასკევს ბურდულებთან განსაკუთრებული და საკმაოდ ხალხმრავალი საღამო გამოვიდა. ამის პირველი მიზეზი სტუმრების განსაკუთრებული მონდომება იყო (ბურდულთან ტრადიციულ საღამოებში არსებული პაუზის გამო), რაც მუსიკოსის გერმანიაში ვოიაჟმა გამოიწვია, ხოლო მეორე მიზეზი – ცნობისმოყვარეობა. გუშინწინ ბურდულს სტუმრად ჰყავდა სტამბულელი დი-ჯეი ქეში. ასე რომ, პარასკევს ბურდულის სახლში ცოცხალი კონცერტის ნაცვლად, სალონური დისკოთეკა გაიმართა.

სტამბულში საკმაოდ ცნობილი საკლუბო დი-ჯეი თბილისში “ჯეოსელის” ფინანსური მენეჯერის მეგობრობის წყალობით მოხვდა. თებერვალში “აჭარა მიუზიკ ჰოლში” ქეშისა და მისი თბილისელ, კოლეგის, დი-ჯეი ჟორჟიკის (გიორგი ჟორჟოლიანი) ერთობლივი საღამო გაიმართა. სტამბულელ დი-ჯეის კლუბ “16 რაუნდის” მუდმივი აუდიტორიაც კარგად იცნობს. ბოლოს კი იგი ლადო ბურდულის სტუმრებმაც გაიცნეს.



დი-ჯეი ქეში, მასპინძელი და დი-ჯეი ჟორჟიკი

“თბილისში გვინდა გავაკეთოთ მუსიკალური სტუდია, სადაც ჩავწერთ ადგილობრივ მუსიკალურ პროდუქციას. ასევე, ორგანიზებას გავუწევთ სხვადასხვა მუსიკალურ პროექტებს”, - გვითხრა დი-ჯეი ქეშმა. თუმცა, კონკრეტულად რა პროექტებზეა საუბარი, სტუმარს არ დაუკონკრეტებია. სავარაუდოდ კი, მისი ორგანიზებული მუსიკალური საღამოები ივნისის პირველი რიცხვებიდან გახმაურდება ქალაქში. თბილისში ჩამოსული დი-ჯეი აქტიურად თანამშრომლობს მის ერთ-ერთ საუკეთესო თბილისელ კოლეგასთან გიორგი ჟორჟოლიანთან. ეს ორი დი-ჯეი პარასკევს, ლადო ბურდულის სალონურ საღამოზეც ერთად მონაწილეობდა. ანუ, დი-ჯეი ჟორჟიკმა შეამზადა აუდიტორია, რის შემდეგაც სტამბულელმა დი-ჯეიმ აჩვენა საკუთარი შესაძლებლობები. საღამოს მუსიკალური ხარისხი, გარკვეულწილად, განსაზღვრა აპარატურამ, რომლის მსგავსი ბევრ თბილისურ კლუბშიც არ აქვთ.

აუდიტორია გუშინწინ განსაკუთრებულიც იყო და მსგავსი “ტუსოვკებისთვის” ტრადიციულიც. მასპინძლის რჩეული მას-მედიის საშუალებათა წარმომადგენლები, მხატვრებიდან მამუკა ჯაფარიძე, გურამ წიბახაშვილი, მუსიკოსები (ბაკურ ბურდული და მისი მეგობრები), უცხოელები და გეოგრაფიის მასწავლებელიც კი... როდის დამთავრდა ეს ყველაფერი, ძნელი სათქმელია, ალბათ, სასმელთან ერთად.

## კალენდარი

### 9 მარტი - ჟულიეტ ბინოში

ჟულიეტ ბინოშის მამა რეჟისორი იყო, დედა – მსახიობი. გოგონა 12 წლიდან თეატრში თამაშობდა - მოლიერისა და პირანდელოს გმირებს ასახიერებდა. მიუხედავად იმისა, რომ თავი ყოველთვის თეატრის მსახიობად მიაჩნდა, მას კინემატოგრაფმა მოუტანა წარმატება.

ჟულიეტის გარეგნობამ ძალიან ადრე მიიპყრო რეჟისორების ყურადღება - პირველად კინოში 18 წლისა გადაიღეს. 21 წლის ბინოშმა პატარა როლი შეასრულა ჟან ლუკ გოდარის ფილმში “დიდება შენ, მარია” – ეს პირველი აღიარება იყო. ხოლო ფილმმა “ყოფის აუტანელი სიმსუბუქე”, ფილიპ კაუფმანისეული კუნდერას ეკრანიზაციამ, მსახიობი საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა. კრიტიკოსები აღტაცებული იყვნენ მისი “უბიწო მშვენიერებით”, მისი სახე ნათელს ასხივებსო...

შემდგომი ფილმი “ახალი ტალღის” ერთ-ერთი ლიდერის, ლეო კარაქსის ბრწყინვალე ფსიქოდრამა, “ახალი ხიდის საყვარლები” იყო, რომელშიც ბინოშმა კვლავ მელანქოლიური და მშვენიერი ქალი განასახიერა - ნახევრადბრმა მხატვარი. ამ ნამუშევრისთვის მას ევროპული კინოაკადემიის პრიზი, “ფენიქსი” გადასცეს.

კრიტიკოსები თვლიან, რომ კარაქსი რომ არა, ჟულიეტი მრავალი სხვა, ნიჭიერი და მშვენიერი, მაგრამ ნაკლებად იღბლიანი ფრანგი მსახიობის ბედს გაიზიარებდა – დიდი-დიდი, “გვიანდელ გოდარს” გადაეღოო... მაგრამ პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო და ბინოშის დიდმა წარმატებებმაც არ დააყოვნა.

თავად მსახიობი თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად ლუი მალის ფილმში, “ზარალში” შექმნილ სახეს მიიჩნევს. რეჟისორმა ბინოშს “უბიწობის” იმიჯი მოაცილა – ჟულიეტის გმირი “საბედისწერო ქალია”, რომელიც თავის საქმროს მამას აცდუნებს.

ამის შემდეგ ბინოშის ნამდვილი ტრიუმფი დაიწყო. ფილმისთვის “სამი ფერი: ლურჯი” მან “სეზარი” და ვენეციის კინოფესტივალის ჯილდო მიიღო. პირველი შვილის გაჩენის შემდეგ ის ყველაზე ძვირადღირებულ ფრანგულ პროექტში (“მხედარი სახურავზე”) მონაწილეობისთვის მიიწვიეს. და ბოლოს, 1996 წელს, ენტონი მინგელას მიერ გადაღებულ “ინგლისელ პაციენტში” შესრულებული როლისთვის ბინოშმა უამრავი ჯილდო დაიმსახურა: “ოსკარი”, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის “ვერცხლის დათვი”, ბრიტანეთის კინოაკადემიის ჯილდო, ამერიკის კინოკრიტიკოსთა საზოგადოების პრემია და კიდევ ერთი “ფენიქსი”.

სიმონა სინიორეს შემდეგ, ჟულიეტი პირველი ფრანგი მსახიობია, რომელმაც “ოსკარი” დაიმსახურა. “ინგლისელ პაციენტში” ის მედდას თამაშობდა: დანგრეული მონასტერი, დანაღმული როიალი, ჟულიეტი ბახს უკრავს... არანაკლებ შთამბეჭდავი სანახავია ტაძრის მოხატულ თაღქვეშ მფრინავი ქალიც. ბინოშის გმირის გარეგნული დაუცველობის უკან დიდი სულიერი ძალა იმალება – მსახიობის მიერ შექმნილი სახეების უმრავლესობა სწორედ ამ ნიშნითაა გამორჩეული.



ჟულიეტ ბინოში

რამდენიმე წლის განმავლობაში ჟულიეტ ბინოში პარფიუმერიისა და კოსმეტიკის კომპანიის, “ლანკომის” სახე იყო – ჟურნალები მისი პორტრეტებით იყო აჭრელებული. კონჩალოვსკის “თოლიაში” ნინა ზარეჩნაია ითამაშა, სცენაზე ჟორჟ სანდსაც ასახიერებდა. გარდა ამისა, ბინოში ხატავს და “კამბოჯის ბავშვთა დახმარების ასოციაციის” აქტიური წევრია – ამბობენ, ამ ბავშვების შემყურემ გააჩინა მეორე შვილიო.

თავად ბინოში როლებს ძალიან გულდასმით ირჩევს და ბევრს არ თამაშობს. ამჟერად ის თავის ორ შვილთან ერთად სოფლის სახლში, პარიზთან ახლოს ცხოვრობს.

ფრანგი მსახიობი, **ჟულიეტ ბინოში**, დაიბადა 1964 წლის 9 მარტს.

ჭადრაკი

# ისევ ორხელისუფლებიანობა

ლინარესში, მცირე სიმშვიდის შემდეგ, რაც ზედიზედ სამ ტურში ყაიმების სერიამ გამოიწვია, როგორც მოსალოდნელი იყო, მე-12 ტურის ორი მესამედი შემდეგნაირად დამთავრდა. ტურნირზე თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა ესპანური ჭადრაკის იმედმა ფრანსისკო ვალიეხომ. მან უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს პირველ წრეში დამარცხებისთვის ვალი დაუბრუნა. რაჯაბოვმა გამარჯვება ანანდს გადაულოცა, ხოლო კასპაროვმა პონომარიოვს დაუმტკიცა, რომ შავი ფიგურებითაც იოლად შეუძლია პოზიციის გამოსწორება, რაც არგენტინაში ჩასატარებელი მატჩის წინ აუცილებლად იმოქმედებს უკრაინელის ნერვებზე.

ანანდი - რაჯაბოვის მატჩში მომხდარი მოვლენები თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებიან მოჭადრაკეები ესოდენ მაღალი რანგის ტურნირის მსვლელობისას. სხვანაირად ვერც კი ახსნი ახალგაზრდა ბაქოელის მოქმედებას, რომელმაც 31-ე სვლაზე პაიკი e4 წასწია წინ. ანანდმა რაჯაბოვის ეტლი გამოიჭირა და მის დასახსნელად ბაქოელს ფიგურის შეწირვა მოუხდა; თანაც, უკანასკნელი ორი სვლა უფრო ინერციით იყო ნაკარნახევი, ვიდრე ცივი გონებით და ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ შავებმა კაპიტულაცია ისე გამოაცხადეს, მეტოქის საპასუხო სვლას არც კი დალოდებიან.

ესპანური ჭადრაკის ამომავალმა ვარსკვლავმა ფრანსისკო ვალიეხომ კი დაძლია თავისი უფროსი კოლეგის, უნგრელი დიდოსტატის პეტერ ლეკოს წინააღმდეგობა. თანაც, მან ეს ახალგაზრდული შემართებით გააკეთა. ვალიეხო ღია ბრძოლაზე წავიდა და უკვე მე-7 სვლაზე მეფე ტურნეზე გაუშვა მარშრუტით - e1-e2-f1-g1 და h1-ზე თავისივე ეტლი ჩიხში მოაქცია. ლეკო შეწირვის ფასად შეეცადა განემუხტა მეტოქის ზეწოლა, მაგრამ როცა დაფაზე ძალთა უჩვეულო განლაგება გამოიკვეთა (ვალიეხომ მიიღო ორი ფიგურა და პაიკი ეტლის სანაცვლოდ), ნათელი გახდა, რომ დედოფლის ფრთაზე გამაგრებული შავი მეფის მდგომარეობა არცთუ ისე საიმედო იყო, ხოლო გამსვლელი "ა", რომლის იმედადაც დარჩა ლეკო, მხოლოდ ენდშპილში თუ ამოქმედდებოდა. ენდშპილამდე კი შავებმა ვერ მიაღწიეს.

პონომარიოვ - კასპაროვის შეხვედრაში კი ფსიქოლოგიური ქვეტექსტი უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე პარტიის საჭადრაკო შინაარსი. თუ ამ პარტიას "ფიდე"-ს ვერსიით განვიხილავთ, მსოფლიო ჩემპიონსა და პრეტენდენტს შორის ორრაუნდიანი დაპირისპირების პრიზმაში ნათელი გახდება, რომ კასპაროვმა მეტოქეს დაუმტკიცა, შავი ფიგურებით როცა მოისურვებს, მაშინ გაათანაბრებს პოზიციას, ხოლო თეთრი ფიგურებით კი მას თავის აწევის საშუალებასაც არ მისცემს. თუ რეიტინგული ფავორიტი ბუენოს-აირესშიც ასევე ითამაშებს, მაშინ გამარჯვებულის ვინაობა თავიდანვე ცნობილი იქნება; თუმცა, პონომარიოვსაც აქვს დრო დაუმტკიცოს სკეპტიკოსებს, რომ ისინი მწარედ მოტყუვდნენ.

დღეისთვის 10 თამაშიდან 6 ქულით კრამნიკი და ანანდი ლიდერობენ. ლიდერებს ნახევარი ქულით კასპაროვი და ლეკო ჩამორჩებიან. ვალიეხოსა და პონომარიოვს 4,5 აქვთ. სატურნირო ცხრილის ფსკერზე კი 4 ქულით ტეიმურ რაჯაბოვი იმყოფება. მე-13 ტურში რუსლან პონომარიოვი დაისვენებს. ერთმანეთს კი შეხვდებიან: კასპაროვი - ვალიეხო, ლეკო - ანანდი და რაჯაბოვი - კრამნიკი.

ფორმულა 1

# "ფერარი" ისევ პირველობს

შარშან ხომ ბადალი არ ჰყავდა "ფერარის" და მიხაელ შუმახერს. როგორც ჩანს, წლეულსაც გერმანელი პილოტისთვის პირველობის წართმევა ურთულესი საქმე იქნება. გუშინ გამართულ საკვალიფიკაციო რბოლებზე შუმახერმა პირველობა არავის დაუთმო და დღეს მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, ავსტრალიის გრანპრიზე, პირველი პოზიციიდან აიღებს სტარტს. მეორე პოზიცია ასევე "ფერარის" წარმომადგენელს - რუბენს ბარიკელოს უკავია, მესამე - კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიას.

ეს ყველაფერი, როგორც ვთქვით, გუშინ მოხდა; მანამდე კი, თავისუფალი ვარჯიშისას, შუმახერი, შეიძლება ითქვას, მსუბუქ ავარიაში მოჰყვა. მელბურნში საშინლად გაწვიმდა, სველ ტრასაზე კი ერთ ეპიზოდში შუმახერმა მანქანა ვერ დაიმორჩილა, თუმცა, გერმანელისთვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. დამტვრეული "ფერარიდან" ახალ ბოლიდზე გადაჯდა და კვალიფიკაციაზე ფენომენალური შედეგიც აჩვენა - 1:27:173.

მოკლედ

# სამხრეთ ამერიკის ჭერი დადგა

1978 წლის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში მსოფლიო ჩემპიონატი არ გამართულა. მაშინ მუნდიალს არგენტინამ უმასპინძლა და, მოგეხსენებათ, ამ ქვეყნის წარმომადგენლები პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. არადა, 1978 წლის ჩათვლით, მსოფლიო ჩემპიონატებს მორიგეობით მასპინძლობდნენ ევროპის და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ქვეყნები (*გამონაკლისი მხოლოდ 1970 წელს მექსიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი იყო. - რედ.*).

ფიფამ გადაწყვიტა, რომ ისტორიული სამართლიანობა ალადგინოს და გუშინ, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამართულ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს სამხრეთ ამერიკის კონტინენტის რომელიმე ქვეყანა უმასპინძლებს. ამის თაობაზე აღმასკომის სხდომის დასრულების შემდეგ ოფიციალური განცხადება გააკეთა ფიფა-ს პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა. უმაღლეს საფეხბურთო ჩინს არ დაუკონკრეტებია, თუ კონკრეტულად ლათინური ამერიკის რომელ ქვეყანას ერგება ეს პატივი; თუმცა, სავარაუდოა, რომ მუნდიალს ბრაზილია ან არგენტინა უმასპინძლებენ. უკეთესი შანსები მაინც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს აქვთ, რადგან ბრაზილიამ მხოლოდ ერთხელ უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს შორეულ 1950 წელს, მთელი ნახევარი საუკუნის წინ.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 29 წლის წინათ...



1974 წლის 26 მაისი, ლუდვიგსჰაფენი, გერმანია. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო.

რაგბი

# რუსეთს მარტო მორაგბეები ამარცხებენ

პაატა თოთაძე

**ევროპის ერთა თასი**

**რუსეთი - საქართველო 17:23**

***რუსეთი:*** *ხროკინი, რომაკი (ნიკოლაიჩუკი), ტრავკინი (შუკაილოვი), ფედჩენკო, სერგეევი, შელეპკოვი, გრაჩოვი, ზიკოვი (სარიჩევი), იანუშკინი, რაჩკოვი, კუზინი, კორობეინიკოვი, ზეერი, ილარიონოვი, კლიუჩნიკოვი (დიმჩენკო).*

*1 ლელო - სერგეევი*

*2 არეკნი და 2 საჯარიმო - რაჩკოვი*

***საქართველო:*** *შველიძე (მთიულიშვილი), ა. გიორგაძე, რატიანიძე, ნადირაძე (მჭედლიშვილი), დიდებულიძე, ლაბაძე (ბოლღაშვილი), იაშვილი, ზედგენიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, გუნდიშვილი, ი. გიორგაძე (ალანია), ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი, ხეხელაშვილი.*

*1 ლელო და 6 საჯარიმო - ჯიმშელაძე*



*ხუთი თვის წინ ქართველმა მორაგბეებმა თბილისში, გუშინ კი კრასნოდარში გაიხარეს*

კიდევ ერთხელ წამოაქციეს ქართველმა ბორჯღალოსნებმა რუსული დათვი. ეს "კიდევ ერთხელ" მეხუთე იყო გუნდების მეშვიდე დაპირისპირებაში. კიდევ ერთხელ დაანახეს ქართველმა მორაგბეებმა რუსებს საკუთარი ძალა, უკვე - მეხუთედ. დასამტკიცებელი თითქოს არაფერი ჰქონდათ ქართველებს: როცა საჭირო და გადამწყვეტი იყო, მოუგეს მეტოქეს, მაგრამ... რუსეთთან დაპირისპირებას სხვა დატვირთვა აქვს, მათთან მოგებას სხვა ხიბლი. გუშინდელი გამარჯვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი და სასიხარულო, რომ საქართველოს ნაკრები კრასნოდარს შესუსტებული შემადგენლობით ეწვია. ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეების ტრავმებმა სორელს ეროვნულ გუნდში ახალგაზრდები ახმობინა. როგორც გაირკვა, ბორჯღალოსნებს არც მომავლის უნდა ეშინოდეთ.

23-დან - 23 ქულა - ეს მატჩი პალიკო ჯიმშელაძის ბენეფისად იქცა. მატჩის წინ ბრძანებდა რუსთა დამრიგებელი ალექსანდრ პერვუხინი: "ვინც უკეთესად ურტყამს, გამარჯვებულიც ის დარჩება." იმთავითვე ნათელი იყო, ყველაფერს თუ არა, ბევრს რაჩკოვ-ჯიმშელაძის დაპირისპირება გადაწყვეტდა. ბევრს კი ეცადა რუსი, მაგრამ არ იყო გუშინ ქართველთა დამმარცხებელი. თამაშის მართვა იქნებოდა თუ დარტყმები, ბორჯღალოსანთა მეათე ნომერმა ყველაფერში დაჯაბნა მეტოქე. ქულები კი ჯიმშელაძემ მოიპოვა, მაგრამ რაგბი ისეთი თამაშია გვერდზე მდგომი თუ არ გივარგა, ვერაფერს მიაღწევ. გუშინ მთელმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის თქმით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა თავიანთი კოლეგები დაჯაბნეს - ტაქტიკურად ჩვენი გუნდი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

"პირველი ტაიმის წაგების მიუხედავად, მაინც ვგრძნობდით, რომ მეორეში ვითარება შეიცვლებოდა. შესვენებამდეც ვაჯობეთ მეტოქეს, მაგრამ ანგარიშში ვერ დავწინაურდით. შესვენების შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა. რუსეთთან მატჩი ყოველთვის გამოირჩევა დაძაბულობით, ამიტომაც მათი დამარცხება მათსვე მოედანზე დიდად სასიხარულოა", - "24 საათთან" საუბარში განაცხადა რაგბის კავშირის მენეჯერმა გია კუბლაშვილმა. ქართველთა ერთადერთი საწუხარი გია ლაბაძის ტრავმა იყო. მორკინალი პირველი ტაიმის მიწურულს დაშავდა და შესაცვლელი გახდა; თუმცა, კუბლაშვილის თქმით, ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა და ლაბაძე უკვე მატჩის ბოლოს გრძნობდა თავს კარგად.

კვლავაც უპასუხოდ დარჩა პერვუხინის კითხვა - რატომ ვერ უნდა შევძლოთ ქართველთა დამარცხება? ამ კითხვას რუსეთის ნაკრების მწვრთნელი უკვე რამდენიმე წელია სვამს და მატჩამდე ორი დღით ადრეც დასვა, მაგრამ როგორც ადრე, ახლაც ვერ გასცა პასუხი. "ქართველები ამჯერადაც ძლიერები აღმოჩნდნენ. ჩვენ კი მომავალ წელს უნდა ველოდოთ; ეგებ მაშინ მაინც ავილოთ რევანში", - "სპორტ-ექსპრესისთვის" დაიწუწუნა ბედს შეგუებულმა პერვუხინმა.

ფეხბურთი

# გახდება მხსნელი პატარა დავიდი?

ნინო პირველი

ამდენი უსიამოვნების შემდეგ, პარასკევს, ოლივერ კანს, როგორც იქნა, ბედნიერი დღე გაუთენდა - დილის ექვს საათზე "ბაიერნის" მეკარე კიდევ ერთხელ გახდა მამა. ამჯერად მას ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც დავიდი დაარქვეს. უფროსი გოგონა - კატარინა-მარია ოთხი წლისაა და მოუთმენლად ელის პატარა ძამიკოსთან შეხვედრას, რომელიც ერთი კვირით ადრე მოევლინა ამ ქვეყანას. მის დაბადებას კანის ოჯახი მომავალ კვირას ელოდა. ექიმებს საკეისროს გაკეთებაც ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ბოლო პერიოდში გადატანილმა ნერვიულობამ თავისი გაიტანა და პატარა დავიდი ვადაზე ადრე, ბუნებრივი გზით დაიბადა. ოლივერ კანის ვაჟიშვილი 2 კილოსა და 900 გრამს იწონის და 49 სანტიმეტრია. რას წარმოიდგენს ეს პატარა ნაზი არსება, რაოდენ დიდი მისია აქვს შესასრულებელი დაბადებისთანავე! მან ხომ ოლივერ კანი ოჯახს უნდა შეუნარჩუნოს...

რაკი დავიდს ჯერ არ ელოდნენ, ხუთშაბათს, საღამოს, ოლივერ კანი გულდამშვიდებით გაემგზავრა კარლსრუეში, სიმონეს მშობლების სახლში, სადაც მისი გოგონა იმყოფება. ბავშვის მონახულების შემდეგ კანი თავის მშობლებს ეწვია. ის იყო "ბაიერნის" მეკარე სავახშმოდ დაჯდომას აპირებდა, რომ სწორედ ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარი - სიმონეს ტკივილები დაეწყო. კანი მაშინვე მიუნხენში დაბრუნდა და მთელი ღამე გვერდიდან არ მოსცილებია მეუღლეს. დავიდის დაბადებამ კანს დროებით გადაავიწყა ყველა საზრუნავი. მან სიამაყით აიყვანა ბავშვი ხელში და აშკარად ბედნიერი ჩანდა. მეორე დღეს კანი სავარჯიშოდ არ წასულა. "ბაიერნის" თავკაცმა ოტმარ ჰიტცფელდმა მას ერთდღიანი შვებულება მისცა - კარგად გამოიძინე და მერე მოდიო. კანს გამოძინება და სიტუაციის გაანალიზება მართლაც ძალიან სჭირდება. ბავშვის დაბადების შემდეგ ოლივერ კანმა ურთულესი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს - ან ვერენა დათმოს, ანდა - ოჯახი.

კანის საყვარელი ამჟამად მიუნხენში არ იმყოფება. როგორც ვერენას დედა ამტკიცებს, მისი ქალიშვილი დროებით საზღვარგარეთ დარჩება, რათა თავი აარიდოს იმ უსიამოვნო აჟიოტაჟს, რაც მის გარშემოა შექმნილი. გერმანიაში "ოლის" და ვერენას ურთიერთობა მეტად აქტუალურ თემადაა ქცეული და ყველას აინტერესებს, ვის სასარგებლოდ გააკეთებს კანი არჩევანს, რომელი ქალი დარჩება მის გვერდით - მისი ერთგული სიმონე, რომელიც თხუთმეტი წლიდან კანთან ერთადაა და მისი შვილების დედაა, თუ თავაწყვეტილი "პარტი გერლი" ვერენა, რომელიც არც კი მალავს, რომ ჭკუას კარგავს ცნობილ ადამიანთა "შებმაზე"... სხვათაშორის, ვერენა დიდად სულაც არ განსხვავდება ჩვეულებრივი მეძავისგან. როგორც მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა "ბილდს" განუცხადა, ვერენა მაშინ გაიცნო, როცა ის თვრამეტი წლის იყო და "კარიერას" იწყებდა. ყოველ საღამოს გამომწვევად ჩაცმული ვერენა მიუნხენის ერთ-ერთი პრესტიჟული ჰოტელის წინ იდგა, სადაც ჩვეულებრივ შოუბიზნესის ვარსკვლავები ჩერდებიან ხოლმე და მოუთმენლად ელოდა რომელიმე ცნობილი მამაკაცის პირად მცველს, რომელსაც იგი თავის პატრონთან მიჰყავდა ღამის გასატარებლად... ნუთუ ოლივერ კანს მართლაც ასეთი ქალი სჭირდება?

ამ აფიორამ კანის იმიჯი საგრძნობლად შეარყია. "ბილდის" მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, გერმანელთა 58 პროცენტისათვის "ოლი" უკვე აღარ არის კერპი. შვიდი პროცენტი კი მის ეროვნული გუნდიდან გაგდებას ითხოვს. ბუნდესნაკრების თავკაცი რუდი ფიოლერი, კანისდა საბედნიეროდ, ასე რადიკალურად განწყობილი არ არის და აზრადაც არ მოსდის კანის გუნდიდან დათხოვნა. კანს მომხრეებიც ჰყავს, მაგრამ არც ისე ბევრი. "ბილდის" ერთ-ერთი კორესპონდენტი "ოლის" საქციელს აშკარად ამართლებს. მისი აზრით, არანაირი ტრაგედია არ არის ის, რომ კანმა მეუღლის ფეხმძიმობის პერიოდში სხვა ქალთან დაიწყო სიარული. ჟურნალისტის შეხედულებით, ოლივერ კანმა ამ ერთი წლის განმავლობაში სულ ორი შეცდომა დაუშვა: ერთი ის, რომ იოკოჰამაში, მუნდიალის ფინალში ბურთი ხელიდან გაუვარდა, მეორე - ვერენასთან ურთიერთობა რომ ვერ დამალა და საჯაროდ განაცხადა: დიახ, ჩემს ცხოვრებაში ახალი ქალიაო...

კარგი იქნებოდა, გერმანიაში ყველა ასე ლიბერალურად რომ იყოს განწყობილი...

სამთო სათხილამურო სპორტი

# "სუხია" იყო, მომავალ "სუხიამდე"...

გიგა გურასაშვილი

*ულრუბლო ცა, კაშკაშა მზე, მუსიკა, ჟრიამული, ქომაგობა, თხილამურები და, რა თქმა უნდა, ბევრი თოვლი. გუშინ ეს ყველაფერი გუდაურში იყო. გუშინ "სუხია" იყო.*

გუდაურს სტუმარი თუ დამსვენებელი არასდროს აკლდა, მაგრამ გუშინდელი დღე მაინც გამორჩეული იყო. მართლაც, თოვლიან ფერდობებს შეფენილ სამთოსათხილამურო სპორტის უამრავ მოყვარულს 8 მარტი, ალბათ, ერთ-ერთ ტკბილ მოგონებად დარჩება. გუშინ ხომ "სუხია - 2003" იყო. აფხაზეთის ომმა ბევრი ნათელი ადამიანი შეიწირა; ერთ-ერთი სულხან სულხანიშვილი, იგივე "სუხია", იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მეგობრებს, და არა მარტო, იგი ისევ ახსოვთ. ახსოვდათ გუშინაც.

1992 წლიდან მოყოლებული, "სუხიას" სახელობის ტურნირი, ტრადიციულად, ყოველ წელს იმართება. მონაწილეთა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს. წელს გუდაურის დათოვლილ ფერდობებს "სუხიაში" მონაწილეობის მსურველი 116 მოთხილამურე ეწვია, გულშემატკივარი და, უბრალოდ, დამსვენებელი გაცილებით მეტი იყო. გუშინდელი დღე, როგორც ყოველთვის, ასპარეზობის გარდა, ზეიმსაც ჰგავდა. ამაში "სუხიას" მონაწილეებთან გასაუბრებისას დავრწმუნდით. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ მათთვის ამ ტურნირში მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე - საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა. არადა, სამეულში მოხვედრილებს ტურნირის ორგანიზატორებმა და სპონსორებმა უხვად მოუმზადეს ფასეული საჩუქრები. "გამარჯვებაზე დიდი სიხარული "სუხიაზე" მონაწილეობამ მომანიჭა, - გვეუბნება "სუხიას" ტურნირის უკვე ორგზის გამარჯვებული, მესტიელი მალხაზ გუდესიანი, - ხშირად საკუთარი საქმეებისთვისაც ვერ ვიცლი, მაგრამ "სუხიაში" მონაწილეობაზე უარი არასდროს მითქვამს".

"სუხიაში" პარლამენტარმა პეტრე ცისკარიშვილმაც სიამოვნებით იასპარეზა - მეტიც, მან მესამე ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის მეორე იყო ბაკურიანელი ავთო ჯანგობეკოვი.

გაცილებით ნაკლები კონკურენცია იყო გოგონებში. 116 მონაწილედან გოგონა მხოლოდ 24 იყო. სამივე პრიზიორი ქალი თბილისელია. ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა სოფო გოგუაძე. გოგუაძეს ოდნავ ჩამორჩნენ მეორე და მესამე ადგილებზე გასულები - მარიამ კოპაძე და სოფო დუმბაძე. გოგონებს საჩუქრების გარეშე ისედაც ვინ დატოვებდა, თანაც - 8 მარტი იყო. სპონსორთა წყალობით, პრიზები მართლაც გულუხვად დარიგდა. "თავიდან, ეს ტურნირი ჯერ კიდევ ფეხს რომ იკიდებდა, საჩუქრად სულ ორი თხილამური გვქონდა", - გვითხრა "სუხიას" კავშირის დირექტორმა და ტურნირის ორგანიზატორმა, დავით ნათაძემ.

"სუხიას" სახელობის ტურნირი დღეს ბევრად მაღალ დონეზე ტარდება. რასაკვირველია, ჯერ საერთაშორისო ასპარეზობებს ვერ უტოლდება, მაგრამ, როგორც კავშირის დირექტორმა გვითხრა, ახლო მომავალში ამის გაკეთებასაც აპირებენ - რა თქმა უნდა, ისევ გულუხვი სპონსორების დახმარებით.





*"სუხიას" პრიზიორები*

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

მეუღლე გუია, შვილი მაია, შვილიშვილი ანი, ლიკა და გია ბოცვაძეები, იზა და ზაზა კალაძეები, დალი და ნოდარი ჭალაგანიძეები - იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბედო(მედიკო) შალვას ასული ჭალაგანიძე-ჩახავა**

პანაშვიდი: 9, 10 მარტს, 17 საათზე. დაკრძალვა 11 მარტს 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, ირაკლი აბაშიძის 29.




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

სასწაფოდ იყიდება 3-ოთახიანი ბინა, კაპიტალური რემონტით ქალაქ რუსთავში, (სტამბულის ბაზართან) 251652.

იყიდება იაფად გასარემონტებელი 3-ოთახიანი ბინა ნუცუბიძის I მ/რ-ში, 1 კორპუსი, მე-16 სართული. ბ/აირით, ტელეფონით. 37 38 53

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. კერძო სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე, ბელეტაჟზე ოროთახიანი პარკეტიანი, კაფელიანი ბინა საკუთარი სადარბაზოთი. 98 86 01

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(93) 24 19 24 ვახო, 8(77) 74 58 70 ელისო

## მანქანები

**იყიდება !**

**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**

**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

მოვამზადებ ფიზიკასა და მათემატიკაში აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს. დავეხმარები მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში. 32 59 62

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ვარ პროფესიონალი მკერავი. ვასწავლი ქალის ნებისმიერი სეზონის ტანსაცმლის კერვას. 79-29-45 ციალა.

პროფესიონალი თარგმანი ინგლისურან, რუსულად და პირიქით. 39-02-33, 95-64-54.

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს შეღავათიან ფასში. 75 53 55

ვარ 24 წლის, პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებსაც. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში დაბალი საპროცენტო განაკვეთით. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90




გეპატიჟებათ
კაფე-რესტორანი
„იმედი"

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.
სანდრო ეულის ქ. 1.
8(93) 21 76 12

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ღუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**

**ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47**

**სიახლე!**
**გთავაზობთ ყველა უცხოური ავტომობილის სამუხრუჭე ხუნდების (კალოტკების) აღდგენას ქარხნული წესით (გარანტიით) ადგილზე მომსახურებით. დაზოგეთ დრო და ფული**
**9.00-2.00-სთ-მდე**
**მის: დიღომი, კინოსტუდიის ავტოფარეხი.**

იყიდდება სასადილო "მონალიზა" როიალი "როინიში" და სამეული "710". ტელ: 95-88-71

ორხევის N16-ში, პროფილაქტიკაში აწარმოებენ ყველა სახის იმპორტული მიკროავტობუსების ჭერის ამაღლებას. 899 292358, 76727 რობერტი.







## აფიშა

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯაკომო პუჩინი "ტოსკა", ოპერა სამ მოქმედებად
დირიჟორი გიორგი ჟორდანია
დას: 12:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"პილატე", რეჟ. თემურ ჩხეიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3,5,6,7, ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"ჰამლეტი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას:18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ფიგაროს ქორწინება", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**
მამუკა მიქელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

**ქარვასლა**
შვეიცარიელ მხატვართა ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ზამთარი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში"

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიმონა"
დას: 14:00; 19;00; 21:30; ფასი 5-8 ლარი
"ზარი"
დას: 16:30 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17;00; 22:00; ფასი 7,9 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

## TV პროგრამა 9 მარტი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
19.15 ველური ამბები
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.00 კურიერი
22.25 ჩვენი ეზო
21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „პიანოზის ქვეშ" 8 77 45-79-25 ჯოდი ფოსტერი, ჯონ ლიტგი. „რამდენიმე დღე" 8 77 45-79-26, სანდრინ ბონერი, დენიელ ტეი „ლურჯი წვერი" 8 77 45-79-27 რიჩარდ ბარტონი, ჰეკელ უელი
23.50 მხ.ფ. „ნათლია 3" მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ენდი გარსია
02.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 „ზოოპარკი"
08.25 მხ. ფილმი „ლიფტიდან ხელმარცხნივ"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „დიდი დასვენება"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.15 სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი"
16.35 დოკ. სერიალი „კონტაქტი"
16.55 მულტსერიალი „ბელფეგორი"
17.20 საკვირაო გამოფენა
17.35 „ექიმი ქალი"
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ჩემპიონი"
18.50 „ეკოდაიჯესტი"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 ტელესერიალი „72 საათი"
21.45 „ამბოზენ"
22.15 მუსიკალური ოქტაგონი
23.00 კინოდარბაზი - „სამშობლოს სახელით"
00.30 ტაიმ-აუტი
01.00 მხ. ფილმი „სიკვდილი ჰოლივუდში"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 განმ. უცხოური მუსათეული
14.00 სმს შოუ
17.00 ფილმი „უკან დედამიწაზე" მთ. როლ-ში კრის როკი.
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ესაუბრე მას" მთ. როლ-ში ლეონორ უოტლინგი
01.40 ფილმი ღამურა „დეტოქსიკაცია" მთ. როლ-ში სილვესტერ სტალონე
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი)
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „ჯონი მნემონიკი" ჰიტ-პარადი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „სამი სეზონი"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
13.00 გასართობი პროგრამა - მუსიკალურ ტალღაზე
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „უგროშოდ ბევერლი ჰილზე"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „ხასიათი"
01.00 ღამის ფილმი

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 ტელესერიალი „ჩრდილოეთი-სამხრეთი"
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მხ. ფილმი „ბრიუსი სუპერმენის წინააღმდეგ"
16.00 - 18.00 რელიგიის საათი
18.00 დოკ. ფილმი
19.00 კითხვების კორიანტელი
19.20 მუსიკალური კოლაჟი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 ტელესერიალი „ჩრდილოეთი-სამხრეთი"
22.00 „იდენ-ტვ"
22.30 საოცარი პირამიდა
23.30 მხ. ფილმი „დოლორეს კლეიბორნი"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მამაცი გული"
15.15 მხ. ფილმი „გონება და გრძნობა"
17.15 მხ. ფილმი „კლდე"
19.00 ინდ. მხ. ფილმი „სიყვარულის მაგია"
22.00 მხ. ფილმი „ხმელთაშუა ზღვა"
00.10 მხ. ფილმი „მუშკეტერი"

### მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალეჭსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 გადაცემა „საუბრები სტუდიაში"
12.00 მულტფილმი „კასპერი-მოჩვენებების შობა" მე-2 ნ.
13.00 რუს. მხ. ფილმი
14.45 დოკ. ფილმი „მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" მე-3 ნ.
15.15 მხ. ფილმი „დედამ ჯარისკაცის ჩექმა ჩაიცვა"
17.00 მხ. ფილმი „ქარის ცხენი"
19.00 გადაცემა „ბელისიმო"
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 გადაცემა „ოსტატები"
20.40 დოკ. სერიალი „ფოტორობოტი" მე-3 ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყორალები" მე-2 ს.
22.15 მხ. ფილმი „ბილიარდომანები"
00.20 მხ. ფილმი „სიღრმეში".

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 საავტორო გადაცემა საგავშვო ფილმი „მელი"
10.45 „ყველანი ვართ პატარები"„
11.00 Слово საავტორო გადაცემა
12.10 ისტორიული ფილმი „პატრიოტი"
14.45 სათავგადასავლო ფილმი „მოუხელთებელი შურისმაძიებლები"
16.15 მულტფილმი
17.25 სათავგადასავლო ფილმი „გატაცება 60 წამში"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20 დოკუმენტური ფილმი
20.00 კომედია „წმინდანი"
22.30 Новости в воскресенье
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 Новости в воскресенье
01.00 მელოდრამა „პრინცესა ფეტვის მარცვალზე"
03.30 მელოდრამა „თუნუქის თასი"

### VII არხი

16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბურთი
19.00 „აჩიკუდა"
19.50 კომპიუტერული თამაშები
20.00 ავტოტრეკინგი
20.35 „კინოკლუბი „ - „ნათლიმამა-1"
23.25 კომპიუტერული თამაშები
23.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი.
00.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
01.20 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
09.00 Док.сериал „Твинисы"
09.20 Играй, гармонь любимая!
10.00 Слово пастыря
10.15 Здоровье
11.10 „Шутка за шуткой"
11.40 „Путешествия натуралиста"
12.10 Худ.фильм „Амазония"
13.50 Док.фильм „Артем"
14.35 „Геркулес"
15.10 „Серебряный шар"
15.50 Мелодрама „Принцесса на бобах"
18.10 Концерт С.Ротару
19.10 Продолжение концерта С.Ротару
19.55 „Кто хочет стать миллионером?"
21.00 „Последний герой 3"
22.00 Время
22.25 Комедия „Джуниор"
00.35 Бокс. Владимир Кличко - Корри Сэндерс
01.35 Боевик „Большая драка в Бэттл-Крик"

### РТР

06.45 Чемпионат мира по автогонкам в классе „Формула-1". Гран-При Австралии
09.00 „ХА". Маленькие комедии
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.25 „Военная программа"
10.50 Утренняя почта
11.25 „Сто к одному"
12.15 „Сам себе режиссер"
13.15 В поисках приключений
14.10 Клуб сенаторов
15.00 Вести
15.20 Комедия „Три плюс два"
17.05 Моя семья
18.05 Аншлаг
19.00 Комедия „Укрощение строптивого"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
21.55 Специальный корреспондент
22.20 „Праздничное шоу Валентина Юдашкина"
00.35 Комедия „Певец на свадьбе"
02.40 Худ.фильм „На грани разрыва"

### НТВ

07.35 Худ.фильм „Ветер в ивах"
09.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00 Сегодня
09.05 Комедия „Музыкальная история"
10.25 „Шар удачи"
10.55 Погода на неделю
11.05 Концерт „Песни для любимых и единственных"
12.25 „Растительная жизнь"
13.05 „Влияние"
14.05 Комедия „Семейство Блюз под прикрытием"
15.45 Вкусные истории
16.05 Своя игра
17.20 „Женский взгляд"
18.05 Худ.фильм „Вместо меня"
20.30 Комедия „Танго втроем"
22.30 Худ.фильм „Голубой гром"
00.35 Триллер „Немой свидетель"
02.15 Ночь



# თოვლიან მანჰეტენზე სანდლებით



მართალია, გაზაფხული მოდის, მაგრამ სანდლების დრო ჯერ არ დამდგარა. ნიუ იორკელი დიზაინერი მის თრიში კეროლი კი ჰაერის დაბალ ტემპერატურას არად დაგიდევთ და უკვე მთელი ზამთარია გატაცებით კერავს და ყიდის სანდლებს. მისი ბუტიკი, რომელშიც ათასი ფერისა და სტილის ფეხსაცმელია თავმოყრილი ლოს ანჯელესის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ ქუჩაზე, როდეო დრაივზე მდებარეობს. გამვლელებიც, ჯერ კიდევ იანვარიდან მოყოლებული, ზღვის სეზონისთვის ემზადებიან და ინტერესით ათვალიერებენ კეროლის ნამუშევრებს.

ეს დაინტერესება კი უკვე მიანიშნებს დიდ პოპულარობაზე, რომელიც კეროლს გაზაფხულიდანვე ელის. მისი სანდლები ფერთა დიდ სპექტრს მოიცავს. ქუსლის სიმაღლეც არანორმირებულია – ძალიან დაბლიდან ძალიან მაღლამდე. ფეხსაცმელების მორთულობაც საკმაოდ ორიგინალურია: ცეცხლისმფრქვევი დრაკონები, რომაული მონეტებისგან შექმნილი სამაჯურები, ზღვის ცხოველებისა და ნიჟარების ფორმები – კეროლის სანდლებზე ყველაფერს იხილავთ. ექსპერტები ამ ფერად კოლექციებს ჯეკ როჯერსის სტილს ამგვანებენ. ეს დიზაინერი პოპულარული ხომ სწორედ სანდლების წყალობით გახდა. 60-იან წლებში როჯერსის პირველ კლიენტად ჟაკლინ კენედი-ონასისიც კი ითვლებოდა.

გარკვეულწილად, კეროლის კოლექციაც 1950-60-იანი წლების ნოსტალგიაა. ანუ იმ ეპოქისა, როდესაც მონტე კარლოს, სენ ტროპეს, პორტოფინოსა და კაპრის ქვიშიან სანაპიროებზე სანდლებში გამოწყობილი ბრიჯიტ ბარდო და როჟე ვადიმი, სოფი ლორენი და კარლო პონტი, პრინცი რანიე და გრეის კელი ეფიცხებოდნენ მზეს. “იმ დროს ყველა მომხიბვლელი ქალბატონი აუცილებლად ყიდულობდა სანდლებს. ისინი ახლაც ყიდულობენ მათ, რადგან ამ ფეხსაცმელს ჯერაც არ დაუკარგავს თავისი ხიბლი”, - ამბობს კეროლი.

მან დამოუკიდებელი ბიზნესი ერთი წლის წინ, ჰემპტონში დაიწყო. მანამდე კი ქალის სხვადასხვაგვარ აქსესუარებს რალფ ლორენისა და ნარცისო როდრირგესისთვის ქმნიდა. თუმცა, როგორც ხედავთ, დამოუკიდებლად წამოწყებულმა საქმემ გაამართლა. ახლა კეროლი მთლიანად ზაფხულის ფეხსაცმელზეა ორიენტირებული, არ იშურებს ფანტაზიას და ზაფხულის სეზონისთვის ქალებს სექსუალურ სანდლებს უკერავს. მათი ფასი 175 დოლარიდან 375 დოლარამდე მერყეობს. მის ბუტიკში, ფეხსაცმელების გარდა, მზის სათვალეები, კოსმეტიკა და თმისთვის განკუთვნილი საშუალებებიც იყიდება.

მას შემდეგ, რაც კეროლმა დეკემბერში ტერასაზე ტენტი დაამაგრა, ის პირველივე ხელსაყრელი მომენტის დროს რეგულარულად ჩადის ლოს ანჯელესში. “ქალები აქ მშვენიერდებიან. ისინი საგნებს განსხვავებულად აღიქვამენ და უფრო თამამებიც ხდებიან. კლიმატი ეხმარებათ მათ საკუთარი ემოციური მდგომარეობის უკეთ გადმოცემაში”, - აცხადებს კეროლი.

თუმცა, მისი სტრატეგია ასეთია: ქალმა ლამაზი სანდალი ზამთარშიც ისეთივე სიამოვნებით უნდა შეიძინოს, როგორც ზაფხულში. ამ სიბრძნეს, პირველ რიგში, საკუთარ თავზე ცდის და ცივ მანჰეტენზე დაბრუნებულსაც თავისი ღია სანდლები აცვია. ერთხელ, ცივი დეკემბრის საღამოს, მოდის ჩვენებაზე სანდლებით გამოცხადებული კეროლი კინაღამ გიჟათაც კი მონათლეს: “ქუჩაში ყველა ჩემს სანდლებს უყურებდა, ყველას აშკარად შეშლილი ვეგონე”. თუმცა, უკვე მარტია, სამხრეთ კალიფორნიაშიც თანდათან იწყება ბანაობისა და გარუჯვის სეზონი და კეროლსაც შეურაცხადად აღარავინ გამოაცხადებს. პირიქით, მალე ყველა აღიარებს, რომ დიზაინერ მანოლო ბლაჰნიკით დომინირებულ ფეხსაცმლის ბაზარზე ახალი და, უდავოდ, ნიჭიერი სახე გამოჩნდა.

# ვერსაჩეს ახალი სახე




პოპ-ვარსკვლავი, კრისტინა აგილერა, პოდიუმისკენ მიიწევს. გაზეთ Hello!-ს ცნობით, მალე ის ვერსაჩეს მოდელი გახდება და ახალი, საგანგებო გამოშვების მომზადებაში მიიღებს მონაწილეობას.

დიზაინერ დონატელა ვერსაჩეს თქმით, კრისტინა არაჩვეულებრივი მოცეკვავე და მომღერალია. ქათინაური არც აგილერამ დაინანა: “მე ყველაფერს დონატელასას ჩავიცვამ,” განაცხადა მან.

1980 წელს დაბადებული კრისტინა სულ იმეორებს, როგორ უყვარს სიმღერა, და რომ ცხოვრება სცენის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნია. მართლაც, სცენის სიყვარული აგილერამ ძალიან ადრე გამოავლინა: 8 წლის გოგომ “ტალანტების კონკურსში მიიღო მონაწილეობა, თორმეტი წლისამ კი საჯაროდ შეასრულა ეროვნული ჰიმნი.

გასულ წელს მომღერალმა თავის თაყვანისმცემლები ახალი ალბომით, Stripped-ით გაახარა. ახლა კი უცებ ვერსაჩეს მოდელი ხდება.

აგილერას გადაწყვეტილებამ უკვე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რითაც ორივე მხარე კმაყოფილია – კრისტინაც და დონატელაც. ბოლოს და ბოლოს, მათი მიზანიც ხომ ის იყო, რომ საზოგადოების ყურადღება მიეპყროთ, მიუხედავად იმისა, რომ ის არც ერთს აკლია და არც მეორეს.

კრისტინას სიმღერა, Beautiful, არნახული წარმატებით სარგებლობს – ერთ კვირაში 71-ე ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა და საუკეთესოდაც იყიდება – ალბომის 4,5 მილიონი ეგზემპლარი უკვე გაყიდულია.

თან კრისტინას ახალი, ფრიად სკანდალური იმიჯი აქვს – ქალი-ვამპირი. ოდესღაც ქერა გოგონამ პრესას განუცხადა, გავიზარდე, და ამიერიდან ისე ვიცხოვრებ, როგორც გამიხარდებაო. გარდა ამისა, თავის მთავარ კონკურენტსაც მოუშალა ნერვები – ბრიტნი სპირსის ყოფილ შეყვარებულთან, ჯასტინ ტიმბერლეიკთან ზაფხულში საგასტროლო ტურს გეგმავს...

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24



# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.